ნინო უძილაური

მარადისი

ISBN-9789941477751

ნინო უძილაური

მარადისი

2020

თბილისი

იგი პოეტად დაიბადა

ნინო უძილაური ქართულ პოეზიაში ახლახან გამოჩნდა.

მოვიდა იგი თავისი პირველი მშვენიერი წიგნით ხელში, (ლექსების კრებული) მოვიდა და თან მოიტანა წუთისოფლის თავისუფალი, ნინოსეული ხედვა, გამორჩეული ხმა და გასაოცარი შინაგანი გულწრფელობა.

ნინოს ლექსებს მთის ყვავილთა სურნელი და პირველყოფილი უშუალობა მოჰყვა.

მქონდა პატივი წინათქმა წარმეძღვნა ნინოს მეორე წიგნისთვის, `მე ფშავლის ქალი~ და მწერალთა კავშირის მისეულ წიგნაკსაც სიამოვნებით მოვაწერე ხელი.

მე არა მწამს კრიტიკოსების მიერ ამორჩეული ფრაზებისა `პოეტი დღითიდღე იზრდება~, `იგი შემოქმედებითი დაოსტატებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიემართება~ და ა.შ.

პოეტები არ იზრდებიან.

პოეტებად იბადებიან და ასე რჩებიან სიცოცხლის ბოლომდე.

ნინო უძილაური დაბადებით პოეტია.

დანარჩენს თვითონ გვეტყვის თავისი ხალასი, თვითმყოფადი, დროის დრამატიზმით დამუხტული ლექსებით.

რევაზ მიშველაძე

საქართველოს სახალხო მწერალი,

რუსთაველის პრემიის ლაურეატი

მთავარი რედაქტორი - რევაზ მიშველაძე

სარედაქციო კოლეგია:

მხატვარი ქეთევან უძილაური

რევაზ მიშველაძე

ბაღათერ არაბული

მზია ხეთაგური

`სიყვარულის პოეტი~

`ლექსია სულის ქათიბი,

გრძნობით ნაქარგი სამოსი~...

ამბობს ერთ-ერთ თავის ლექსში პოეტი ნინო უძილაური, ხოლო მისი მეორე წიგნის `მე ფშავლის ქალის~ წინასიტყვაობაში ცნობილი მწერალი რევაზ მიშვე¬ლაძე წერს: `წავიკითხე ნინოს ლექსები და ისე გადამედო ამ ლექსებში ჩაწნული პოეტური კდემა, ჭეშმარიტი ლირიზმი, სიყვარულის ნოსტალგია და საყვარელი არსების მონატრების ტკივილამდე შემძვრელი ვნება, რომ გადავწყვიტე დამერეკა ავტორისათვის და მეთქვა: თქვენ ჭეშმარიტი პოეტი ბრძანდებით! ეს წიგნი ნინო უძილაურის შემოქმედებას მეტნაკლები სისრულით ასახავს და წარმოდგენას შეუ¬ქმნის მკითხველს იმ გზაზე, რაც პოეტური

მუზის ჭეშმარიტი ნიჭით დაჯილდოე¬ბულმა ლექსის ოსტატმა გაიარა...~

ძნელია ამაზე უკეთესად რამის თქმა, მაგრამ მეც უნდა დავამატო, რომ ნინოს ახალ მესამე წიგნში შესულ მის ლექსებს ახასიათებს განსაკუთრებული უშუალობა, სიმარტივე, სათქმელის ნათლად და დამაჯერებლად მიტანა მკითხვე¬ლამდე: ის არ ატარებს პოეტურ ექსპერიმენტებს, არ ეძებს ბუნდოვან სალექსო ფორმებს, არ გვთავაზობს გაუაზრებელ ვერსიფიკაციულ სირთულეებს. პოეტის ლექსები ხომ ფშავ-ხევსურული სამყაროდან იღებენ სათავეს (ის ხომ `ფშავლის ქალია~, წარმოშობით ფშავის სოფელ უძილაურთიდან!), სადაც ხალხურ პოეზიას, სათქმელის სიმარტივეს და სისადავეს `გრძნობით ნაქარგი ლამაზი სამოსი აც¬ვია~, რაც მხატვრულ-მეტაფორული ხილვებით გვამახსოვრდება: `წუხელ სიზმრები გავაფერადე~ _ ამბობს ნინო ერთ-ერთ თავის ლექსში და მართლაც მის ლექსებში სიზმარ-სიცხადიდან დანახული სამყაროა წარმოჩინებული, სადაც პოეტს სურვილი უჩნდება, რომ სიყვარულით `ალმოდებულმა კოცონმა კოცნოს~, რადგან იცის, რომ

`ლექსი ისე არის, როგორც სულის სარკე,

სიტყვებს მარგალიტად როცა გადაკინძავ~...

სადაც `სიტყვის მარგალიტებით~ ყველაფერი ლამაზად მოჩანს:

`საღამოს მთვარეს დაველოდები,

რომ მომიქსოვოს ფერების გამა...~

როდესაც მას თავისი უძვირფასესი ადამიანისთვის შეუძლია თქმა:

`შენ დაიბადე, მეც დავიბადე,

ჩვენ ერთად ყოფნა დაგვბედებია,

წლები რა უცებ გადავიარეთ,

ბედნიერები არ ბერდებიან...~

და მეც დავამატებდი: ბედნიერი პოეტები არ ბერდებიან!..

ნინო კი ბედნიერია და მისი ლექსებიც ოპტიმიზმით და სიყვარულით გვავსებენ...

ამ ახალ წიგნში, რომლის სათაურიც არის `მარადისი~, შესულია ნინოს რო¬გორც ზოგიერთი ძველი, ასევე სრულიად ახალი ლექსები, რაც პოეტურ კრებულს უფრო მეტ მრავალფეროვნებას და შინაარსს სძენს.

წიგნში კარგად იგრძნობა ტექნიკის, რითმისფლობის, ოსტატობისა და სა¬ხეობრივ-მხატვრული აზროვნებისკენ პოეტის სწრაფვა, რომლის გარეშეც პოეზია უფრესკებო ტაძარს გავს:

`ვიპრანჭები, გაზაფხული მოახლოვდა,

მარტის თვეა, აფეთქდება კვირტი ნუშის,

გაიშლება ათასფერად ჭრელი კაბა,

კაბასავით იშრიალებს გრძნობაც გულში...~

ნინო უძილაური სიყვარულის პოეტია, რადგანაც იცის, რომ მის გარეშე ყვე¬ლაფერი ფერმკრთალდება და სიცოცხლეს კარგავს:

`რატომ აღარ ვგაზაფხულობ, იცი?

სულში თითქოს ზამთარია ცივი,

სასთუმალთან ჩამომჯდარი ჩიტი,

წარსულს ჰყვება და საბრალოდ წივის...

აქ ნათქვამი `აღარ ვგაზაფხულობ~ საოცრად ხსნის ნინოს ლამაზ სამყაროს...

და ბოლოს, მინდა ნინო უძილაურს ვუსურვო, რომ მკითხველის სიყვარულით გამოწვეული სიხარული და სიყვარული არ მოკლებოდეს!..

ეს პატარა წერილი ნინოსადმი მიძღვნილი ჩემი ექსპრომტით მინდა დავამთავრო:

`მზის ციდან გადაწვერვის ჟამს

და შემოდგომის ხანასა,

ჩემს გზაზე გადავეყარე,

უძილაურთელ ქალასა,

თვალი ვერ ნახავს ენა კი,

ვერ იტყვის იმისთანასა.~

პოეტი ბაღათერ არაბული

საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე

იალქანი

ნინო უძილაური შედარებით ახალი სახელი და გვარია თანამედროვე პოეზია¬ში, თუმცა წინამდებარე რიგით მესამე კრებულის ავტორის მიერ დაწერილი პირ¬ველი ლექსიდან არც ისე ცოტა დრო ყოფილა გასული...

დღეს ლექსებს სხვადასხვა ასაკის უამრავი ადამიანი წერს, მერე წიგნებად გამოსცემს და პრეზენტაციებსაც ბოლო არ უჩანს.

მწერალი მაშინ არის საინტერესო, როდესაც წერს იმიტომ, რომ არ შეუძლია არ წეროს, მაგრამ თუ მხოლოდ იმიტომ წერ რომ თავი მოიწონო და თან ქება-დი¬დება მოითხოვო, ეს უკვე მწერლის კი არა, გრაფომანის თვისებაა. რათქმაუნდა, ნინო უძილაურს აინტერესებს სხვისი აზრი და თუ გულწრფელად მოიწონებენ მის ლექსებს, ეამება კიდეც ... მაგრამ არა მგონია მისი მიზანი საკუთარი თავით ტკბობა იყოს! _ მისი ლექსები ხომ სავსეა სწორედ ასეთთა მიმართ პროტესტის გრძნობითა და უღმერთო ბუნების ადამიანთა გამო გულისტკივილით!

ჩაიძირება თუ არა ნინო უძილაური `ფეისბუქისა~ თუ ლაპლაპა და მრავალ¬ტომიანი წიგნების ოკეანეში, ეს ჯერ კიდევ არავინ იცის,მაგრამ ამ ოკეანეში დღეს იგი საკუთარი ხელით დამზადებული ნავით დაცურავს და უშურველი თვალით უმზერს ხომალდებს...მისი ნავის იალქანი კი ის უღალატო პოეტური სულია, რომელსაც შეუძლია უნებურად აღმოხდეს ძალზე ყურადსაღები სტრი¬ქონი: `დავაღალატე თავად ღალატი!~

მზია ხეთაგური

მწერალი, საზოგადო მოღვაწე, საპარტიარქოს უმაღლესი ჯილდოს _ წმინდა გიორგის ოქროს ორდენის მფლობელი.

მარადისი

ბევრი ვიარე, ისევ გზები მოჩანს შორეთის,

მუდმივად დამდევს იმედიც და სასოწარკვეთაც,

მარადისობა ოცნებებში ჩემ შორ გზებს ერთვის,

მარადისობამ ამ სამყაროს გზებიც გაკვეთა.

ეკლიანია სიყვარულით გავლილი გზები,

სიმართლეს თვალებს ვერ უსწორებს თავად თემიდა,

სავალ ბილიკზე გაწოლილან ჩემივე წლები,

რომ მარადისში გამიტაცონ, სადაც მე მინდა.

რადგან წამები წუთებშია გადაკარგული,

რადგან სიცოცხლეც იფერფლება გრძნობებთან ერთად,

განვლილი გზების იარებით მორთულა გული

და მარადისი აღმართულა გზის ბოლოს, ღმერთად!

ისეთი ფერი აქვს სიცოცხლის სიყვარულს,

ისეთი სიტურფით ნახატი ფრესკები,

სიზმრად თუ გესიზმრე, იცოდე, ისა მსურს,

რომ შენთვის მომეძღვნა ქათქათა ლექსები.

მარადისში

დადუმდა მუზა, გაქრა ოცნება,

ეკლიან გზებმა მიკაწრეს ფეხი,

ალბათ უფლისგან იყო განგება,

სავალ ბილიკზე გავარდნა მეხის.

აღარც შეგრძნება რჩება სიმართლის,

აღარც წყალობა, შვება სულისა,

აღარ დავდივარ ბილიკზე იმ გზით,

სადაც თავთავი ხარობს პურისა.

სიცოცხლე გახდა დროში მოკვდავი,

უკვდავთა ხვედრი აქ არ იციან,

რადგან მუზასთან ერთად მომკალით,

ერთად გვეძებეთ მარადისშიაც!

გამორჩეული

ვერ აგამღერე,

ვერ ჩაგაცვი ატმის ყვავილი,

ვეღარც მოგარგე სიყვარულით ნაქარგი ფარჩა,

არ მომიფრთხილდი,

ვერ მიცანი,

რომ ვარ ნამდვილი

და გრძნობა ჩემი გადააგდე, აღარსად დარჩა...

ბედი ტრიალებს

დაბადება _ გარდაცვალებით,

სამყაროს სული სიყვარულით მოევლინება,

გზად თუ შემოგხვდი,

გამიღიმე სევდის თვალებით,

ადამიანის თვალებით ხომ სული ვლინდება.

სიცოცხლის ტალღა

სიკვდილამდე ბობოქრობს ცაში,

სიყვარულს ითხოვს დედამიწაც,

დაღლილი ახლა,

გამორჩეულად დაბადებულს იტაცებს რაში

და მიაქროლებს უსასრულოდ,

მაღლა და მაღლა!..

მე შენით ვსუნთქავ

მარადიულად დავიმკვიდრე მე შენით თავი,
ყველა სიტყვაში ჩავაქსოვე ჩემი არსება,
ცხოვრების გზაზე ბილიკ-ბილიკ შენთან ვიყავი,
ყოველი ბგერა შენი სიტყვის, ამ გულს ავსებდა.
თავად ხარ ახლა საკუთარი სულის მესაჭე
და მე შენს გვერდით მარად შენი ნაწილი მერქვა,
ჩუმად, მალულად, ვიყავ მუდამ შენი მესანთლე
და ჩემი გული სიყვარულით კვლავ შენში ფეთქავს...
მშვიდად ვიძინებ მარადიულ სასუფეველში,
ვალით კი არა, სიყვარულით გაგრძელებულხარ,
მე შენით ვსუნთქავ, უსასრულო სამფლობელოში,
თვით ბედისწერაც ვერ დამჩაგრავს, შენ ჩემთან თუ ხარ!

მე შენში მიყვარს სიყვარული მარადიული

მე შენში მიყვარს სიყვარული მარადიული,
მე შენ მაოცებ ერთგულების ზეაღმატებით,
ნუთუ საწუთრომ მომაკუთვნა ალალი გული,
ნუთუ სიკვდილიც მომიხიბლავს სიცოცხლის კდემით?!
როს სიდიადე სიყვარულის დარაბებს გახსნის,

როცა სამყარო გაბრწყინდება სილამაზისთვის,
მე შენთან მოვალ, უსასრულო ბორკილებს აგხსნი
და მოგიყვები, რომ ლოდინი ღირდა ამისთვის.
გავასუფთავებ შენს გულს ჩემზე ჩუმი დარდისგან,
ალერს-ალერსით დაგავიწყებ წარსულს დაღდასმულს,
დღეს გავათენებ, გავანათებ დილას ავდრიანს
და სიყვარულის სტრიქონს გიძღვნი, ჯერაც არსად თქმულს!

მე, შენ, ის

მე არ ვიცი, შენ არ იცი და არც იმან,
მეგობრობა სად გაქრა და სად წავიდა,
სიყვარულად მზის სხივები ცვივა ციდან,
ყალბ ღიმილს ნუ გააჩუქებთ, აღარ გვინდა!
მე არ მინდა, მას არ უნდა, არც შენ გინდა,
ეს სამყარო ამ „არ მინდამ“ გაარინდა,
რაღა დარჩა სიყვარულად, თუ გაწვიმდა
და ფრესკები ჩამორეცხა ყველა, წმინდა.
მე არ მიყვარს, შენ არ გიყვარს და არც იმას,
სიყვარული ხელოვნურებს ვერ აიტანს,
ღმერთის შვილად ვიბადებით მეც, შენც, ის და,

პასუხს გაგვცემს თვით უფალი აქ და იქაც!

არ მსურს

დამდგარ ზღვის ტალღებს,

ჩამდგარ ქარიშხალს,

ვნების გარეშე მოალერსე ქალ-ვაჟის ტრფიალს,

არ მსურს ვუცქირო,

რადგან დრო-ჟამი სამუდამოდ ამ უმეცრების,

ალბათ მალე მორჩება ფრიალს!

მინდა სიცოცხლის აზარფეშა

მარადიულად სასურველი ღვინით შევავსო,

დადუღებული შევსვა მაჭარი

და ბობოქარი, მათრობელი გრძნობით ავავსო,

რომ გადავლახო ჯებირები,

რადგან სასმისი მოთმინების სავალ გზაზე,

თითო წვეთმა უკვე აავსო.

მარადიული სიცოცხლისათვის,

მინდა რომ ჩემი გულთმბრძანებელის მაამებელ,

სასიცოცხლოს შევეხო რითმებს,

რადგან სიცოცხლე საუკუნოდ მონავარდე ერთი წუთია

და ცის ქვეშეთშიც

სული ჩემი უსასრულოდ, გრძნობით დაცლილ

და ვერსათმენ ტკივილებს ითმენს.

ო, როგორ მინდა,

ამიტაცებდეს ცის კიდესთან თავმომწონედ მდგარი თეთრონი

და დასალიერს, ზღვიდან მთამდე,

უსასრულო სიმშვიდეში გამიტაცებდეს,

ან, უკაცრიელ მარტომყოფის სამფლობელოში,

ლექსის მუზებთან, სიყვარულის მივსებდეს სასმისს

და მარადიულ ნეტარებით

თეთრ სამოსელში, მდუმარებით მმოსავდეს კრძალვით.

დამდგარ ზღვის ტალღებს,

ჩამდგარ ქარიშხალს,

ვნების გარეშე მოალერსე ქალ-ვაჟის ტრფიალს,

არ მსურს ვუცქირო,

რადგან დრო-ჟამი სამუდამოდ ამ უმეცრების,

ალბათ სულ მალე მორჩება ფრიალს...

დაგელოდები

დაგელოდები,

ვიდრე აპრილს ეყოფა ძალა,

ატმის კვირტები ვიდრე მზისგან გადაიშლება,

მე შენ მიყვარხარ

გულში, ჩუმად, სათუთად, მართლა,

დაგელოდები,

ვიდრე სიტყვა არ წაიშლება.

ქარი გაფანტავს ღრუბელს _

დარდით ჩამობნელებულს,

მზე მომიხატავს სიყვარულის ურყევ სარეცელს,

ვარდის ფურცლები მიმოფანტე,

გაჩუქებ ჩემს გულს,

და მივაშუროთ ტრფობის ჰამაკს,

სხივს რომ ურწევს მზეს...

დავაღალატე თავად ღალატი

წუხელ მთვარესთან დაგაღალატე,

მთვარე მიცქერდა შენი თვალებით,

წუხელ ზღვასთანაც რომ გიღალატე,

ზღვა სიყვარულის მწვავდა ალები.

მერე გარიჟრაჟს გავეარშიყე,

თითქოს მკოცნიდნენ შენი ტუჩები,

ეს სიყვარული და კაეშანი,

მათრობდა, ალბათ ვერც ვიურჩებდი.

სიყვარულისგან ღამენათევი,

სხივებში ჩანდა შენი ფერება,

და გული წრფელი, თბილი, ნათელი,

დილის მზის სხივით რომ მეფერება.

მე ამ ღალატით დავგმე ღალატი,

დავგმე და სევდაც შემომეხეთქა,

სიყვარულია მხოლოდ მთავარი,

გულში რომ ჩუმად შემოეხეტა.

მიყვარს ეს გრძნობა, წრფელი, ხალასი,

მარადიულად გულში რომ ფეთქავს,

დავაღალატე თავად ღალატი,

დავაღალატე...რადგან ბევრს ბედავს!

რა საჭიროა ფარისევლობა

რა საჭიროა სიყვარული ფარისევლური,

ნუ ჩაეძიე დედამიწას, როგორ ტრიალებს,

ვითომ სიკეთე სიყვარულში გზააბნეული,

ვერ მოგაშორებს დაჩეხილ და ცოდვილ იარებს.

რა საჭიროა მოტყუება მეგობრობისა

და სიცრუეში გაცრეცილი ფლიდი ღიმილი,

ჩემი ტკივილის ვითომ შენად გადაქცევისა

და ბაგეთაგან წარმოთქმული გლოვა-ტირილი.

ვის რად სჭირდება სამზეოზე გამოტანილი,

ვაი-ვიშვიში და უგულო ვითომ თანდგომა,

გვერდზე გადექი, სიცრუე გაქვს თან მოტანილი,

ვეღარ მივიღებ _ არ გახარებს ქრისტეს აღდგომაც!

გამოგიცანი, ისეც გიცნობ, ვერ დამემალე,

ყველა გამვლელში დაგენახე გაწვდილი ხელით,

გადამაბიჯე და ერთხელაც არ დაგენანე,

გადასაგდებად გამიმეტე შენივე ნებით!

ვის რაში უნდა მოსაწყენი დითირამბები,

ქება-დიდება, ვერ დანახვა ჩატეხილ ხიდის,

საიდან ბუდობს სიყალბე და ბოღმა ამდენი,

ადამიანო, ნუ გახდები ეშმაკზე ფლიდი.

ცაზედ ვარსკვლავნი,ზღვაში ქვიშა, ხმელეთზე მღვიმე,

ფერს არ შეიცვლის, ვიდრე ამის დრო არ დადგება!

წადი და ცოდვა მუხლებზე რომ გაწევს სიმძიმედ,

ჩამოიფერთხე, სიყვარულიც ვიდრე გაცვდება!

დამძიმებულმა, დაჩოქილმა გავაღე კარი,

ვით სასთუმალთან ჩამომჯდარი ვნახე მცინარი,

დარაბებს მიღმა ფრინველთ გუნდი ხარობდა დარით,

და იდუმალი სინანული ამოვიცანი.

სიგიჟის სიბრძნე

სიგიჟეში გადავმალე სიბრძნე.

სიყვარულში ჩავაქსოვე სევდა,

სიცივე და სიმარტოვე ვიგრძენ,

ყველგან, სადაც სიძულვილი მდევდა.

გადავმალე, გადავკარგე, მორჩა,

ცხრაკლიტურით ჩავურაზე კარი,

ყოფიერი დოგმასავით მოჩანს,

უტყუარი მიაჩნია თვალი.

სიბრიყვეა მონათლული სიბრძნედ,

უფერული აზრის ხდება ფრქვევა,
ალბათ მრუდედ მონათლავენ იმ გზებს,
ჩარჩოების სადაც ვიწყებ რღვევას.
სიგიჟეში გადავმალე სიბრძნე,
სიყვარული ვაფრიალე ლექსად,
ვიცი მერე წაიკითხავს ვინმე
და სიგიჟეს ვერ მიაგნებს ვერსად!

მოგონებებში დავრჩები

მოგონებებში დავრჩები, მოგონებებად ვიფრენ,
ჩემს ღიმილებში ჩაგქარგავ, ღიმილად გადაგიქცევ,
ზღვა სიყვარულად გეწვევი, სიზმრად შეგეხო იქნებ,
ცხადად, მალულად, შენთან ვარ, შენივ თვალებით გიცქერ.
სათქმელსაც გეტყვი, აქამდე რაც რომ მინდოდა მეთქვა,
ფიქრად, ღიმილად მოსული, გულის ძახილად ფეთქავ,
რომ ჩემს სიცოცხლეს მაგ გულში გადამალავდე დიდხანს,
დამაიმედე, მითხარი: „სიყვარულიც და მზეც ხარ!“
მოგონებებში დავრჩები, მოგონებებში მინდა
თავისუფლება, სიცოცხლე და სიყვარული წმინდა,

სიზმარში ცხადად გესტუმრო, ცხადად სიზმარიც ღირს და,

მე შენთან ყოფნის წყურვილმა მოგონებებად მზიდა.

ფიქრის გორაზე

გათენებისკენ ვისწრაფვი,

ფიქრის გორასთან დამდგარი,

მზემ ჩემთან შემოანათოს,

თუ ღრუბელია _ ავდარი.

მივდევ სიცოცხლის ნაბიჯებს,

დილაა, ღმერთით დამდგარი,

ირგვლივ სიკვდილი რომ დაძრწის,

ჩავრაზე ყველა ცხრაკარი.

ვისაც რა უნდა, ისა თქვას,

ენაში ძვალი არ არის,

შურსა და ბოღმას მიწაზე,

ფესვი ღრმადა აქვს გამდგარი.

სიყვარულს ახრჩობს მაცდური,

გულს გლეჯს, რომ მოკლას მოწამე,

ღამის და დილის მსახური,

ორივე ერთად მოწამლეს!

დილის მზე უკვე გათენდა,

ათვალიერებს ამ მხარეს,

დღეს გაათენებს ნათელს და

სიბნელეს არ გაახარებს!

და ვფიქრობ, ფიქრებშიშველი,

„ფიქრის გორაზე“ დამდგარი,

სიყვარულს შემოვიშველებ,

გულში ღრმად რომ მაქვს გამჯდარი!

სულისმიერი ჰანგები

სულისმიერი ჰანგები მატკბობს,

სივრცე შეცნობის იფრქვევა მარცვლით,

ვსუნთქავ და ისევ მზის სხივი მათბობს,

მე ამ სიყვარულს სხვაში ვერ გავცვლი.

გამხელილ ჰანგებს ვაყოლებ სუნთქვას,

ამოიკვნესა გულმა მალულად,

მშვენიერების აჩრდილსაც სურს თქვას,

რომ სიყვარულში რჩება ფარულად.

ირგვლივ იღვრება სულის ჰანგები,

ჟღერს სტრიქონ-სტრიქონ შორეულ გზიდან...

მე ჩემი სევდის უტყვი გამგები,

მარადისობად ვინატრო მინდა.

ზღვასიყვარულად

სიყვარულისთვის გავჩნდი და

ზღვასიყვარულად ვიქეცი,

გრძნობა გონებას აბნევს და,

ვნების ალს ვერ გავექეცი.

შემომახვიე მკლავები,

სულის სიამედ მექეცი,

და მათრობელი ალერსით,

სიზმრადაც გამომექეცი.

სხვებს შენი თავი ვარჩიე,

შენა ხარ ჩემი რჩეული,

მოდი, ალერსად მაქციე,

შენს ალერსს გადაჩვეული.

თუ გინდა

თუ გინდა, ისევ ავაბრიალებ,

ყაყაჩოების მინდორზე კოცონს,

რომ სიყვარულით უკვე ანთებულს,

ალმოდებულმა კოცონმა მკოცნოს.

თუ გინდა ჩანჩქერს, კლდიდან რომ მოსჩქეფს,

ბარად რომ მშვიდად მოედინება,

სიყვარულისთვის დინებას შეწყვეტს,

და უძრაობაც არ ეწყინება.

თუ გინდა შენთვის კიდეც მოვკვდები,

და ძვირფას წუთებს მოგიძღვნი ტაბლად,

თუ დამიჯერებ, შენ მე მეკუთვნი,

გაჩენილი ხარ მხოლოდ ჩემს ხატად!

მონატრების ბორკილები

მომენატრე და მონატრების ბორკილებს გადებ,

რადგან შენამდე სავალი გზა ძალზედ დიდია,

კვირტებად ქცეულ გაზაფხულის დარაბებს ვაღებ,

ვხედავ სიყვარულს ძალა როგორ გამოელია.

სიზმრად ტანს ცვარი დასდებია ღამენათევის,

სიზმრის ფერიებს მივაშურე მოთქმად ამბისთვის,

დილას რიჟრაჟი შეპარვია ღაწვებდაფერილს,

სატანჯველია სიყვარულიც და ღირს ამისთვის.

როს მონატრების ბორკილებსაც შემოგხსნი ჩემთან,

გავარიჟრაჟოთ ღამე კუშტი ჩვენად ფერებად,

ეს მონატრება დავამსხვრიოთ ბორკილთან ერთად,

ეს მონატრება მეტად ნუღარ მოგვეფერება.26 27

გადაგიყვარებ

გადაგიყვარებ...

და შენს მაგივრად სხვა სამყაროს შევეფარები...

გადაგიყვარებ,

და მონატრებას ჩემი აჩრდილით მივეფერები,

დილის მზის სხივებს

მთვარის შუქით უკუნეთად მოვეფარები,

რათა სამყაროც დაღონდეს და

შეიმოსოს მუქი ფერებით.

გადაგიყვარებ,

და შენს მაგიერს ვერასოდეს ვერ შევიყვარებ,

გადაგიყვარებ...

უსათუოდ გადაგიყვარებ!

ვიდრე სიკვდილი მესტუმრება და შემიყვარებს,

ვიცი, შენც მერე მომძებნი და კვლავ შემიყვარებ

და სწორედ მაშინ, მაშინ მართლა გადაგიყვარებ!

გელოდები

გელოდები...

ამ თვალებში სევდამ ისევ დაიბუდა,

დრო ვერ შემცვლის, მაგრამ გულში,

სიყვარული გაიბუტა.

დამიბრუნდი...

მოგონება წარსულ დღეებს მიმაისებს,

შენი ერთი გამოხედვა ოცნებებსაც მიხალისებს..

შემიყვარდი...

რა ვქნა, ძლიერ! _

გულს ბრძანება აღარ ესმის,

ნაწყენი ვარ, მაგრამ მაინც დამალულად კვლავაც გეტრფი!

ვეღარ დაგთმობ....

მომიბრუნდი, სული ისევ გამიბრუე,

გელოდები...

გელოდები...

დამიბრუნდი...

დაგიბრუნებ!

დამესიზმრე

რომ დამესიზმრე ამ ღამეს, იცი?

თაიგულებით თმას მიფერავდი,

ზღვა მოჰყოლოდა ტალღების ლიცლიცს,

ცას სანთლად ენთო სხივი ფერადი.

ხელჩაკიდული მიგყავდი მზესთან,

სურნელი ტანის, სახეს გითბობდა,

გსურდა, გყოლოდი სიცოცხლის ხესთან,

ამაზე მეტი მეც არ მინდოდა.

ნაღვლიან თვალებს ნამავდა ცრემლი,

წვიმა სდიოდა ცას მზეთვალთაგან,

შენ მოდიოდი _ სინათლე ჩემი,

გზაზე უკუნი აღარსად ჩანდა.

და დამესიზმრე ამ ღამეს ჩემო,

მინდვრის ყვავილებს თმაში მიბნევდი,

თვალს გიჩრდილავდა გრძნობათა ჩერო

და იმ ჩეროს ჩრდილს მშვიდად მივნებდი...

დროს დავითვლი

დროს დავითვლი, ჩემო,

ერთი, ორი, სამი,

მალე ჩემთან შემო,

მოვიხუროთ კარი...

სიმშვიდეში გეტრფი,

სიყვარულით გსუნთქავ,

ალბათ ისევ გეტყვი,

რისი თქმაც სულ მსურდა.

მიყვარხარ და მავსებ,

გულს იმედით მიტკბობ,

სამყაროა სავსე,

სიყვარულად, სითბოდ...

ეს ერთი ღამე

კიდევ ერთ ღამეს ვისურვებდი ვნებიანს, ჩემო,
მარადიული სიყვარული ფეთქდება დღესაც,
კარს ღიად ვტოვებ, გელოდები, შემოდი, შემო,
ამ სიყვარულით აფეთქება ეწვევა მზესაც.
დღე-ღამე ისევ დანებდება გრძნობათა თამაშს,
მზე მთვარეს შეცვლის ალიონზე სხივთა კიაფით,
მოისურვილებს სიყვარული ფიქრებთან, თანაც.
მოისურვილებს დრო და სივრცის ერთად ტრფიალით!
ეს ერთი ღამე განთავსდება ათას ღამეში,
გაინავარდებს სევდიანი სიამე წამით,
არავის ძალუძს ნეტარება გასცეს რამეში,
არავის ძალუძს, სიყვარული მომტაცოს რამით!

ვერ შეგელიე

გულზე დაგადე თავი,
ტუჩზე შეგახე ტუჩი,
ვერ შეგელევი, რა ვქნა,
დრო გამექცევა, ურჩი.
ბავშვობის სახე ვიდრე,

გადამალულა კუშტი,

მასიყვარულე შენთან,

რომ დავრჩე მარად გულში.

გულზე დაგადე თავი,

ტუჩზე შეგახე ტუჩი,

ვერ შეგელიე, რა ვქნა,

დრო კი გამექცა, ურჩი.

ისევ მეფიქრება

ისევ მეფიქრება შენზე

და ჩვენს ვერდაწერილ ბედზე,

როგორ მენატრება, ისევ

ხელი რომ შეგახო ხელზე.

თითქოს დაიმორცხვა ზეცამ,

თითქოს მზემ დახუჭა თვალი,

ნეტავ მოხვიდოდე ახლა,

გულში ჩამიკრავდე კრძალვით.

ახლა შემოდგომის ფოთლებს,

ქარი აფრიალებს აღმა,

გულში ვიმეორებ ლოცვებს,

მარტო მივუყვები დაღმართს.

ისევ მეფიქრება შენზე,

ისევ მენატრები, მართლა...

დრო კი უსასრულოდ მიდის,

დროსაც დაუწყია ათვლა!

მაწუხებს და მტკივა

იცი რა მაწუხებს?!. შენ რასაც აფუჭებ

და მერე ხმაურით მე მიჭერ მარწუხებს.

იცი მე რა მტკივა?!. დასვრილი ხელებით,

ჩემს მტკივან იარებს ურცხვად რომ ეხები!

იცი კი რას გეტყვი?!. სხვის ქილიკს მოეშვი,

და ამა სოფლისთვის სულს ნუ სვრი მორევში.

მე ჩემს გზას მივყვები, ჩემი მაქვს სავალი,

შენ შენი ბარგი გაქვს და შენი საგზალი.

სიცოცხლე წავა და დარჩება ნაცარი...

სჯობს აქვე დავთესოთ სიკეთის მარცვალი!

მგონი ისევ

მგონი ამერია თავგზა,

ლამის გადავვარდი სადღაც,

სულში სასოება ვიგრძენ,

ირგვლიც სიცივეა ახლაც.

ყველა ღიმილსა და კოცნას,

თითქოს გავურბივარ აქაც,

ისევ გავაგრძელე ლოცვა,

ისევ მივიჩქარი სადღაც.

სულში ჩაიმალა ცოდვა,

გული აღარ უსმენს ამ ხმას,

ახლა ვუსმენ უცხო ბოდვას,

ირგვლივ ყვავილებიც გახმა.

ხელი მომაშველე, ჩქარა,

ვიდრე ყველაფერი მორჩა,

შენში მინდა დავრჩე მარად,

შენთან გაზაფხული მოჩანს!

მე ვეამბორე

მე ვეამბორე

სიყვარულის ამ ურყევ გრძნობას,

რამაც შემბოჭა

ერთგულების ურყევ ბაქანზე,

არ გავურბივარ

ჩაჭედებულ აზრებით ტრფობას,

მსურს გავიტაცო

ჩემი სატრფო იქ, სადაც ჩანს მზე!

მე მეამბორე

შენს ბაგეს და სიტურფეს თვალთა,

და სიყვარულის

კდემამოსილ ფიქრთა სინათლეს,

ღმერთო ძლიერო,

დააფარე ეგ შენი კალთა,

და ჩემს სიყვარულს

ნუ წაართმევ სპეტაკ სიმართლეს.

მომწყურდი

მომწყურდი, ო, იცი რა ძლიერ მომწყურდი?

თვალებში მზის სხივი აღარ ჩანს, ჩამქრალა,

ლოდინით დაღლილი შენს სახელს გავყვირი,

ლოდინით დაღლილი სიცოცხლეც გამქრალა.

მომწყურდი, ო ძლიერ, რა ძლიერ მომწყურდი,

გათენებამდე ან გავძლებ, ან არა,

იქნებ იგრძნო და სარკმელი შემოხსნა,

იქნებ შემოხსნა ამ გულის ფანჯარა!

შენი მონატრება წყურვილად მიქციე,

ფიქრებში გიგზავნი სურვილებს ათასგვარს,

ჩემს ნამდვილ სიყვარულს ზურგი ნუ აქციე,

მოდი და წყურვილი მომიკალ! სადა ხარ...

მხოლოდ ერთხელ

მხოლოდ ერთხელ,

ერთადერთხელ,

მოგეფერო უნდა,

ჩავეხუტო მაგ შენს მკერდს და

ჩუმად ვიყოთ თუნდაც...

დილა ერთად გავათენოთ,

მთელი ღამე წვიმს და,

ერთმანეთი დავამშვენოთ,

რადგან ასე გვინდა!

მხოლოდ ერთხელ,

ერთადერთხელ,

დავივიწყოთ დარდი,

ბაღს ვესტუმროთ,

იქ სიკეთეც, ფეხაკრეფით დადის!

სხვა რა არის ჩვენი ყოფა,

დროც ხომ სწრაფად გადის?

ფერადოვან სიზმრად ყოფნას,

აქ არავინ გვაცდის?!

სიყვარულია სიცოცხლეც და თავისუფლებაც

სიყვარულია სიცოცხლეც და თავისუფლებაც,

სიყვარულია როცა გრძნობ, რომ ხარ ბედნიერი,

თუ ამ სამყაროს ერთი ციცქნა გული უხდება,

ეს გული მხოლოდ შენთვის ფეთქავს, შენით ძლიერი.

მომნატრებიხარ, ახლა მივხვდი რომ ფეთქავ ჩემად,

რა სიძლიერით მყვარებიხარ, ჩემო და ჩემო!

მე ამ სრტიქონებს გადავმალავ, გინატრებ ჩუმად

და შენს სიყვარულს კვლავ ჯიუტად ვჩემობ და ვჩემობ!

ღამენათევი სასთუმალთან ისევ შენ გეძებ,

ტკბილი ალერსის სიგიჟემდე მტანჯავს ოცნება,

მიყვარხარ ძლიერ, ისე ძლიერ მიყვარხარ მე შენ,

თუ შევიშლები, ცაში მთვარეც არ გაოცდება!

სიყვარულს კარი გაუღია

სულის სიმშვიდე დამიკარგე,

ფიქრმა გონება ამირია,

კოცნა ზედ გულზე დამაქარგე,

სადა ვარ, ვერა გამიგია!

ტრფობის ალმურში გადამკარგე,

წყურვილს გულიც მთლად დაუპყრია,

დრო და სამყარო გადამალე, _

თითქოს ტყვიები დაუხლიათ!

სულის სიამედ მომევლინე,

გრძნობებს გონება წაუღია,

გულზე იებად მომეფინე,

სიყვარულს კარი გაუღია!

სულ სხვა

სულ სხვა არს ვნება მთელ სხეულში ცვრად მოდებული,

ველური ჟინი, ტრფობის ალი, მისი წყურვილი,

ღამის ბურანი და თრიაქი ძლიერ მთრობელი,

სხეულს მომგვრელი ნეტარება...ისევ სურვილი.

უფრო სხვა არის სიყვარული, ნაზი, სათუთი,

გულში მყოფი და გულიდანვე გადმომდინარი,

თბილი ამბორი, გონებით და გრძნობით ნაფუთი,

თრთოლვა, ალერსი და ჩურჩული თვალებმცინარი.

უკვდავების მოლოდინი

მე უკვდავების მოლოდინით არ მიცხოვრია,

მე ხომ იმედი მაცოცხლებდა შენი პოვნისა...

მარადიულად ღმერთთან მხოლოდ ის მითხოვია,

რომ სიყვარულად დამაბრუნოს, პირველყოვლისა!

ალბათ, ცხოვრებაც უკვდავებად თავად მოსულა,

და სინამდვილე ჩემს ოცნებებს შერკინებია...

გული სათუთად შენახული გრძნობით მოსილა

და სიყვარულის ფარდაგს ვაფენ ჩვენთვის, ვნებიანს!

უკვე შენი მქვია

იასამანი მაქვს, შენი მორთმეული,

როგორც გაზაფხული _ ჩვენი რელიქვია!..

სიყვარული დამაქვს შენგან მობნეული,

უკვე მომიტაცე, უკვე შენი მქვია!

ისევ ჩვენში ჰყვავის ჩვენი გაზაფხული,

სურნელს იასამნის გული დაუპყრია,

ზამთარს გავატანე ეჭვი დაფარული,

ჩვენი სიყვარული ისე ზღაპრულია!

უშენოდ

გაზაფხულდა და ვეღარ ვძლებ უშენოდ,

მთა _ ბარიც აფეთქდა, მზემ ცეცხლი დაანთო,

წყურვილად მომაწვა მოხვიდე ისე რომ,

გრძნობებით მაპურო, ალერსით დამათრო!

თავნება მარტია ... წვიმამ არ მაცადა,

აპრილის მშვენებას მივუძღვნა სტროფები,

ძვირფასო, სურვილმა თასივით დამცალა,

ისე, ვით დაცლილან ლექსებით მგოსნები!

გაზაფხულს ვერ ვუძლებ, ვერ ვუძლებ უშენოდ,

ფიქრებიც ვნებებში სულ ჩაკარგულია...

იქნება ერთხელაც მოგინდეს უცებ რომ,

ალერსის მორევში ჩამძირო სრულიად!

ფრაგმენტი

ეს წამიერი გაელვება რა იყო ნეტავ,

ბახუსის წვეთებს ვერ ელევა ღამე გვიანი,

ცოტაც და, ალბათ მოიტაცებს სამყაროს ფეთქვას,

მოიტაცებს და, დაღონდება დილაც მზიანი.

დაგდებულ კალამს ახლაც ვუმზერ წარსულის ხედვით,

დაუფლებია ნოსტალგია მუზების მეფეს,

სევდით შეფერილ ღვინოს შევსვამ ცახცახა ხელით,

და მერე ღვინოს დავაბრალებ ტირილს და ცრემლებს.

ეს წუთიერი გაელვება ავსებს სიცოცხლეს,

მოგონებებში გადაბარგდა ნეტარი წამი,

სევდით შეფერილ ღვინოში კი მუდამ იცოცხლებს,

მოგონებებში ჩაკარგული ის დრო და ჟამი.

შეგხვდები

შეგხვდები სანამ ქრიან ქარები,

სანამ ფოთლები დასცვივა ხეებს,

სანამ ტაძრებად რეკენ ზარები,

და სიყვარული დაითვლის დღეებს.

ვიდრე ზამთარი გაიაპრილებს,

ვიდრე სიცოცხლე ანათებს მზეებს,

შეგხვდები, თრთოლვით შეგხსნი მაგ ღილებს

და სიყვარულში ჩავკარგავთ დღეებს.

შემეყარე

შემეყარე როგორც სევდა,

შემეყარე როგორც ლექსი,

შემეყარე, როგორც გულში

ჩამალული საზრდო ფესვის.

მოალერსე ნაზო სიო,

მონაბერო სულის სულში,

მოტრფიალე გაზაფხულო,

სიყვარულად კვნესი გულში.

შემეყარე, ტურფავ, ისე,

ისე ჩაჯექ ამ ჩემ ფიქრში,

მოსვენება დამიკარგე,

დამავიწყე ყველა შიში.

შემეყარე, როგორც სევდა,

და მასველებ, როგორც თქეში,

ისე გეტრფი, გაზაფხულო,

აგიტაცო, მინდა, ხელში!

ახლა ვიგრძენი სამყარო ჩემში

ახლა ვიგრძენი სამყარო ჩემში,

როგორც სიცოცხლის საწყისი ერთ დროს,

მე ჩაგაქსოვე ახლაც ამ ლექსში,

და სიყვარულიც ჩემს გრძნობებს ვერ თმობს.

ჩამოღვენთილი მიყურებს მთვარე,

და ეს ნაღველი ფერებით ქრება,

მზის სხივით ისევ ნათდება მხარე,

და გათოშილი წარსულიც კვდება.

ახლა ვიგრძენი სამყაროს ხიბლი,

ჩემში მოზღვავდა სიცოცხლის ვნება,
შენს სახელს ისევ მარცვლებად ვითვლი,
და გულის ფეთქვაც ჩარჩოებს სცდება.

ბედნიერი წუთები

და ბედნიერი იდგა წუთები,
ბედის ვარსკვლავმა ცა დამიხატა,
დაუვიწყარი ღამის ყურებით,
მთვარემ სიზმრები გადამიქარგა.
ციდან მზის სხივი მთვარის შუქს ცვლიდა
და ათინათი თვალებს ათბობდა,
ბუდნიერება წუთებს ითვლიდა,
უბედურებას წუთით აქრობდა.
ხარობს სიცოცხლე, ლაღობს ბუნება,
დაფარფატებენ ჭრელი პეპლები,
ასე, ცხოვრების აზრი ბრუნდება,
ასე, სამყაროს ვეჩურჩულები.

გემის ბაქანზე

გემზე შეირხა სიყვარულის მთრთოლვარე სიმი,

ნამდვილი გრძნობა ოკეანის მიღმა რჩებოდა,

მოგონებებში ჩაკარგულა იმ გემის ქიმი,

უსიტყვო ვნება სინანულის ხელით კვდებოდა.

გადაივლიან კიდევ ბევრჯერ ტკივილად დღენი,

ქარი ვერ ფანტავს უხმო ცრემლებს, _ ისევ ბაქანზე...

და დაბრუნებულს სიყვარულის ძველ ბაღთან სევდით,

კვლავაც შეგიპყრობს ტრფობის ჟინი ისევ იმ ქალზე...

დავიბადე

დავიბადე, რათა მოგეფეროთ,

მინდა მოგაფინოთ სიყვარული,

დავიბადე, რათა სულ გაჩუქოთ,

გაჩუქოთ ჩემი სიხარული.

აქ ვარ და ვდგავარ კვლავ ერგულად,

ამადიდებაზე არგაცვლილი,

მინდა მოგაფრქვიოთ თაიგულად,

სიკეთე, ჩემგან არდათვლილი.

მოგიალერსოთ და მოგეთბილოთ,

გულის სიღრმიდან და სიტყვებიდან,
რადგან გრძნობა ჩემი ისე ტკბილობს,
მე თქვენ გეფერებით სიზმრებითაც.
რადგან გამაჩინა ზეგამჩენმა,
ქვეყნად სიყვარულის მატარებლად,
მინდა რომ იფეთქოს გულმა ჩემმა,
თქვენი ტკივილების მაამებლად!

დილის ნაფიქრალი

საღამოს მთვარეს დაველოდები,
რომ მომიქსოვოს ფერების გამა,
ისევ სიცოცხლეს ჩავეჭიდები
და უსასრულოდ გავყვები ალბათ.
დილის მზის სხივი გამაცისკროვნებს,
მარადიული გახდება სული,
თუ მეყვარება სამყარო ისე,
როგორც ოდითგან ეს იყო თქმული.
06.07.2016 წ.

იდუმალება

ტრფობის ღამეში ვარ გახვეული,

ფიქრი რეალობამ ჩაანაცვლა,

ვკოცნი სიყვარულს და დახვეული,

მხრებზე დალალია, კაბის ნაცვლად.

იქვე _ იდუმალი სინანული,

გულში მწუხარების სიმებს მისწვდა,

თითქოს ბრმად მეხვევა სიყვარული,

თითქოს გულისცემას ისმენს მიწა...

ღამის საბანში ვარ გახვეული,

ცხადი სიზმარს ებრძვის არეული,

მთვარეც ღრუბლებს შუა დამალულა,

მე კი, ღამეს შევრჩი, მთვარეული...

მე მოვალ

მე მოვალ

როგორც ურჩი მარტი…

და მოგეხვევი

წლებში დაკარგულ,

ხეზე აღმართულ,

მწვანე რუხტოტა,

ხვეულ მცენარედ.

მჭიდროდ მოხვეული,

და განუყოფელი,

გრძნობით ერთარსი და,

სულით მეგობარი,

თუნდაც დაკარგული,

მაგრამ მაინც ჩემი _

მისი სიყვარული,

მისი ყველა დარდი,

მისი ყველა ფიქრი,

მისი ავდარ-დარით!

მე ის მენატრება,

თითქოს მელოდება

და მასზე ფიქრი,

არც როს მომშორდება!

მოდი ახლოს

მოდი, ახლოს ჩამოჯექი ჩემთან,

მოდი ერთად ვისაუბროთ ღმერთთან,

შენი სუნთქვით, ჩემი გულის ფეთქვით,

იქნებ ერთად, ერთი სიტყვა გვეთქვა!

მოდი, გული გამიშალე, ჩემო,

მე ჩემს ტკივილს ისევ შენთან ვჩემობ,

ამ ჩემს დარდებს ვერ მოგახვევ, ვიცი,

რადგან ჩემში შენი სუნთქვა ისმის.

მოდი, გული დაგანახო ახლოს,

ჩაგახედო სულს რარიგად ათოვს,

სისხლისფერად შეღებილი დარდი,

გოდებაა და სიკვდილის დარი...

მოდი ახლოს, მომაპყარი მზერა,

შენი სიტყვის მე ხომ ახლაც მჯერა,

სიცოცხლეა სიყვარული წრფელი,

თორემ კვდომა ყველა მოკვდავს ელის.

09.08.2019

მოდი

მოდი და ჩემს გულზედ მოიწყე სავანე,

დარდი და ნაღველი, გაფანტე, გაყარე,

სიყვარულს მივუძღვნათ სიცოცხლის ფერები,

მოდი და მაგ სულში სულ მოგეფერები.

ნუ ვეტყვით ერთმანეთს რაც იყო აქამდე,

გული გულს ვაჩუქოთ, ვიაროთ ზღაპრამდე,

მზის სხივთა სამყაროს ვუმზიროთ დაღლამდე,

და სულ ასე ვიყოთ, ან თუნდაც... გაყრამდე.56 57

ნუ ამბობ

ნუ ამბობ, არ ეტრფი სიყვარულს,

ნუ იტყვი, სითბო არ გჭირდება,

ამ გრძნობით სიცოცხლე ხალისობს,

სამყაროც ამ გრძნობით ივსება.

მარტო მე, მარტო შენ კი არა,

სულ ყველას სულ ყველა სჭირდება,

უფერულ ფერებსაც შეავსებს,

შეავსებს! _ ვინც შენი იქნება!

აღარ თქვა, რომ არ გსურს გიყვარდეს,

სიცრუე გულს გარეთ იქნება,

სიმშვიდეს მოგიტანს, ის რაც შენს

გრძნობებში, ღვთის ნებით იქმნება!

სათუთ-სურნელი

მომისათუთდი, მომისურნელდ-მომინუგეშდი,

შენს სიახლოვეს დამავანე, ჩემო მშვენებავ,

მოგიფრთხილდები, მოგეფერებ-მოგეხუტები,

და ეს სამყაროც საამურად მომეჩვენება.

მინდა შევიგრძნო ჩემად მყოფი შენი ედემი,

სიცოცხლის არსიც შენი სუნთქვის დარად შევიგრძნო,

ცის სამეფოში მზის სხივივით გულს რომ ედები,

ერთხელაც შეგსვა შარბათივით, ვით წმინდა ღვინო.

მომისათუთდი, მომისურნელ-მომისალბუნდი,

გულს სიყვარული მომაფინე ზურმუხტ ფერებად,

უსასრულობად მომეფრქვიე, გულში დაბუდდი

და ჩემს სამყაროს მოევლინე მშვენიერებად.58 59

ქალი

ქალი ფერებისთვის შექმნილია,

სითბო _ სინაზესთან ერთქმნილია,

მარად სიყვარულად ანთებული,

გულიც სიყვარულის ერთგულია.

ქალი ქმნილებაა ზეციურის,

დედა, მეუღლეა სიყვარულით,

გულს კი მხოლოდ ისევ მას მიუძღვნის,

ვისაც შეუყვარდა მხოლოდ გულით.

ქალი ყვავილია, მინდვრად მყოფი,

ვარდთა სურნელია მზესთან ყოფნით,

ვარსკვლავთ სადარია, ცისკარია,

და მზის ნათებაა ამა სოფლის.

ქალი ეკლიანი ყვავილია,

ტრფობა, სინაზე და ვნება დიდი,

მაინც ალერსისთვის შექმნილია,

თუ არ ეპატრონა ვინმე ფლიდი.

ქალი შვილებისთვის ძუ ვეფხვია,

მარად უდრეკი და ერთადერთი,

დედა _ სამშობლოსთვის უტეხია,

როცა შვილებს მოძღვრავს, როგორც ღმერთი.

ვაჟიც, ქალიც, ღმერთის ერთქმნილია,

ტრფობა _ ალერსისთვის შექმნილია,

გრძნობა _ უკვდავება, ზექმნილია,

ქალი სიყვარულად ფერფლილია.

შემოდგომის კალათს

შემოდგომა შემოადგათ ფოთლებს,

ფერებს იცვლის ირგვლივ არემარე,

შემოდგომას ფოთოლცვენა მოსდევს,

სიშიშვლე კი არ აწუხებს მთვარეს.

მომეხვიე, შემიფარე, მალე,

შემომასხი უჩინარი ფრთები,

გაზაფხულიც თუ დადგება ხვალე,

შემოდგომას აღარ შევუკრთები.

მზის სხივებსაც ძალა აღარ სწყალობს,

სასოება კართან ტოვებს ბარათს,

სიყმაწვილის გალეწილა კალო,

შემოგიდგამ შემოდგომის კალათს.

01.11.2019

შენ დაიბადე

შენ დაიბადე, მეც დავიბადე,

ჩვენ ერთად ყოფნა დაგვბედებია,

წლები რა უცებ გადავიარეთ,

ბედნიერები არ ბერდებიან.

ეგ დაბადება ღმერთის ნებაა,

მე და შენ ერთად და ეს სამყარო,

ცოლ-ქმრობა მართლაც დიდი მცნებაა,

იგრძნო სიცოცხლე და გაამყარო.

08.06.2017

წარსულის ტკივილი

წარსულის ტკივილს ისევ ნაზი ამბორი არჩენს,

ამბორი თბილი, სიყვარულით გადავსებული,

გარდასულ დღეთა გახსენება ტკივილებს აჩენს,

წარსულიც ტკივილს დაიტოვებს დარდდასეული.

მე მაგ თვალებში გადამალულს ვხედავ სიყვარულს,

შენი ამბორი მონატრების ვნებად ქცეულა,

დრო ვერ ახუნებს გრძნობას ნამდვილს, ზოგჯერ დამალულს

და ერთმანეთი შევიგრძენით ერთსულ-სხეულად...

გადამეყარე

გადამეყარე გზად მარტოდმყოფელს,

გულს სინანული შეუხიზნია,

არ მსურს შემეტყოს სიტყვათა მფლობელს,

ამ ქვეყანაზე ვის რა ხინჯი აქვს.

ვერმიხვედრილი ზეიმობს ჯერაც,
მიხვედრილს თავი ძირს დაუხრია,
წუთისოფელი გაჰყურებს ზეცას,
ცოდვა-მადლი კი კვლავ სადღაც ყრია.
დროებით აღმა და დაღმა ნაბიჯს,
გული, გონება დაუბინდია,
უფალი ყოველ ჩვენს ნაბიჯს განსჯის,
უფლისკენ მხოლოდ მადლით მიდიან!
შემომეყრება ამ გზებზე ისიც,
ვისაც სურს გონი ვნებებით მართოს,
სიკეთისა და სიცოცხლის იქით,
უფალმა მსგავსი არ დამანახოს.
უკიდეგანო ცოდვის მორევში
გარკვევა მიჭირს, საით ვიარო?!
გზად ვიხედები სულის სარკეში,
ჭეშმარიტებავ, რომ გეზიარო!

დამირეკე

გავათენე ტელეფონთან ლოდინში,
ერთი წუთით დამირეკო, ჯობია,

იქნებ ახლა მოგეხადა ბოდიში,

განშორების გზასთან ვდგავარ, მგონია..

სარკმელს მთვარის შუქმა შემოანათა,

სადაცაა, ხელს დამიქნევს ცისკარი,

ამ ლოდინში დრო რა სწრაფად გამქრალა,

კარს გავაღებ, შემოვიდეს ვინც არის.

საათი კი ჩუმად, ჩუმად წიკწიკებს,

სიმყუდროვეს კვლავ მირღვევენ ფიქრები,

ამ ლოდინში მოვიღრუბლე, ვიწვიმებ,

ამ ლოდინით შენთანაც ვერ ვიქნები.

გათენდა და ტელეფონი ისევ დუმს,

მზის სხივებმა გადაყარა ღრუბელი,

დამირეკე, ნუ ატყუებ ამ ჩემს გულს,

მინდა გითხრა, რომ აღარ ვარ სულელი!

სიყვარულით

სიყვარულით ნუ დამახრჩობ,

დარჩი შორიახლოს...

სიყვარულის იქით მხოლოდ,

მარტოობა სახლობს.

მარტოობაც კენტია და

თვით ანკარა წყაროც...

ეს გრძნობა კი სულში, გულში

და უფალში ხარობს.

ღმერთთან მიდის ყველაფერი,

რასაც გული ნატრობს,

სიყვარულს სდევს ყველა ფერი

და მზესავით ათბობს.

ამიტომაც, ნუ დამახრჩობ,

ნუ დამახრჩობ, კარგო,

თუ გიყვარვარ არ დამტოვო,

არ დამტოვო მარტო.

შენ შეშინდი

შენ იქ შეშინდი, სადაც ჩემი გამოჩნდა ლანდი,

არ მოელოდი ოდესმე თუ ისევ მნახავდი,

შემოხვეული ჩემზე ფიქრი და ჩემზე დარდი,

უცებ დაიმსხვრა, დაიბენი, ვერას მალავდი.

თავისუფლება დაიბრუნე, მე ისევ წავალ,

თუმც მოგონებებს გულში ვიცი, ისევ ინახავ...

და თუ მიხვდები შენი ნატვრა რა უმალ გაქრა,

მარადისობის დასასრულსაც, ალბათ, იქ ნახავ!

რადგან შეშინდი, საწუთრომაც თუ გაგაოცა,

რადგან დადუმდი და ვერ უძლებ ბედის გამოცდას,

გრძნობებში თუ ვერ გაერკვიე, აღარ ღირს მოცდა,

იქნებ, „მიყვარხარ“ როცა მითხარ, ისიც წამოგცდა?

არსთა გამრიგე

სადღაც ზის არსთა გამრიგე,

და ბედისწერას განაგებს,

ვერც ვერასოდეს გავიგე,

ბოღმა და შური ვის გვარგებს.

შემთხვევით ხდება ყოველი,

შემთხვევა საფიქრალია,

რა ნაბიჯებსაც მოველი,

აზრთა გამრიგეს ბრალია.

დაწერე, ბედის მმართველო,

გამილამაზე ცხოვრება,

ნუ მეტყვი, გონი გმართებსო,

სევდაც ნუ მომაგონდება.

სად ზიხარ, არსთა გამრიგე,

სად წერ სიცოცხლის მარცვალებს...

ჯერ სიყვარულით გამრიყე,

ახლა კი, ეჭვით მაწვალებ!

დაე, ვისუნთქოთ პოეზიით

დაე, ვისუნთქოთ პოეზიით თუ შეგვიძლია,

უჟანგბადოა ეს სამყარო უკვე დიდი ხნის,

აქ სიყვარულსაც სამოსელი შემოელია,

ამაოება შემოუსვამთ ტახტზე პირიქით.

სილამაზისთვის პოეტები ძერწავენ რითმებს

და სიყვარულად იღვრებიან სიცოცხლისათვის,

პოეტებისთვის ქალღმერთები თუ თხზავენ მითებს,

თავად ღმერთები ირჯებიან პოეტებისთვის.

ნუ დავიღლებით, მოვაფრქვიოთ სიკეთე მარცვლად

და დავამარცხოთ, დავამონოთ ყველა დემონი,

შემოვაგროვოთ სიყვარული ცხოვრების საგზლად,

ყველა პოეტი იწვის როგორც თვით შემოქმედი.

დაე, ვისუნთქოთ პოეზიის მშვენიერებით,

რადგან სამყარო დაცლილია ამაოებით,

ნუ დავიღლებით ჩვენი წილი ბედ-უბედობით,

სიცოცხლის ბოლოს მადლით გვეთქვას _ ამად მოვედით!68 69

დგება აისი

ცას შეპარვია მგლისფერი, სიბნელე სწვდება ნაპირებს,

ნელ-ნელა დღე და ცის ფერი ღამისკენ გადააბიჯებს.

მთვარემ შეკუმშა წარბები, ვარკვლავებს დათვლით ამძიმებს,

ღამეს სურს რაღაც გვიამბოს და ყელიდან ხსნის ცას მძივებს.

დრო-ჟამმა თვალი დახუჭა, საათმა მართა ისარი,

რა ქნას მზემ, თვალებხატულამ, დარაჯი ახლა ის არის.

სხივები კონად იკვრება, დილა სურთ აახმიანონ

და ეს სამყარო მზისფერი, ათასფრად ააბრიალონ.

მზე დგება სიდარბაისლით, ცას ოქროსფერი ედება,

გვირგვინს დაიდგამს აისი, სამყაროს მოეფინება,

აელვარდება ნათელი, სიბნელე ნათელს ნებდება,

განათებული სამეფო სიცოცხლედ მოედინება!

მთელი ღამე

მთელი ღამე სიყვარულის მწვავდა ალი

და ვნებაში გახვეული მონატრება,

ღამე იყო ისე ფრთხილი და ალალი,

წამიერად ვერც გაბედა მოკარება.

მერე ვნებამ ამოხეთქა... და მწყურვალი,

ტანს მოედო გრძნობა ცეცხლად ანთებული,

მკერდს მიწვავდა კოცნა ტკბილი და მხურვალე,

მეცხრე ცაზე ნეტარებდა ტრფობით გული.

და მთელ ღამე ასდიოდა ცეცხლის ალი,

ვნებისაგან გამოცლილი თვლემდა მთვარე,

სიყვარულით უკვდავების შევსვი წყალი,

და სიკვდილიც იქ დასრულდა ცრუ და მწარე.

მოულოდნელად გამომეღვიძა

მოულოდნელად გამომეღვიძა,

აქვე იდექი თითქოს,

და მთვარე, ცაში რომ არ ეძინა,

შენს სანახავად მიხმობს.

ღამემ მოქარგა თეთრი მანდილი,

და საპატარძლო კაბა,

შენამდე ცოტა რჩება მანძილი,

ალერსით გიხმობ _ სად ხარ?

გამოღვიძებულს დაგეძებ, ჩემო,

სიზმრად მეწვიე ახლაც,

დილის რიჟრაჟზე სიყვარულს ვჩემობ,

მინდა შეგიგრძნო ცხადად.

მოულოდნელად გამომეღვიძა,

გაქრა ზმანება ტკბილი,

გულჩვილ მთვარესაც ვერ დაეძინა

და ჩემთან ერთად ტირის...

სიზმარი

წუხელ სიზმრები გავაფერადე,

ციცინათელებს ვთხოვე ლამპარი,

წარსულზე ფიქრი აღარ მინდოდა,

და ოცნებები ვხატე ნანატრი.

რა არ დავხატე,რა არ დავქარგე,

ავაგე ჩემი ოცნების კოშკი,

მთვარე სხივებით ფიქრებს მივსებდა,

მუზას კვებავდა ფერებით დროში.

ყველა ფიქრი და ყველა ოცნება,
დასრულდა ფერთა კორიანტელში,
თვალწინ იშლება სხვა რეალობა,
დილის მზის სხივი ხარობს სოფელში.

სიზმრის ფერები

ისეთი ფერი აქვს იას და ენძელას,
გაზაფხულს რომ შვენის თოვლისფერ ქათიბზე,
სიცოცხლე ხალისობს, სამყარო იღვიძებს,
ბახუსი თამადობს მეფეთა ნადიმზე.
ისეთი ჰანგები იღვრება ალიონს,
მზე ისე ხალისობს სიცოცხლის წიაღში,
ცხოვრება ლამაზად, ლამაზად გავლიოთ,
ლექსებად მღერიან ქარსა და ნიავში.
ისეთი ფერი აქვს სიცოცხლის სიყვარულს,
ისეთი სიტურფით ნახატი ფრესკები,
სიზმრად თუ გესიზმრე იცოდე ისა მსურს,
რომ შენთვის მომეძღვნა ქათქათა ლექსები.

ღამის სათქმელი

როდესაც ღამე

ჩამოწვება ფიქრებით სავსე,

როცა სრული დღე

შეჩერდება წამით სარკმელთან,

ჩამოღონდება ცივი მთვარე ეულად ცაზე,

დამეგობრდება წუთიერად ღამის სათქმელთან.

ჩამოაბნელებს სულის შფოთვა

ღრუბელთ ნაფლეთებს,

სავსე ფიალას სულში ჩაცლის

ღამის წყვდიადი,

შემოაწვება კაეშანი გულის ნახეთქებს,

და აპათია გამეფდება მთვარის ტირადით...

ჩამოახიეთ ღამის წყვდიადს ბნელეთის ფარდა,

დილის მზის სხივით აკაშკაშეთ დათვლილი წამი,

ქვესკნელს ჩაკეტეთ ყველა მითი,

სიცოცხლის გარდა,

დატკბით ყველა დღით,

ვიდრე გასვლის ჩამოჰკრავს ჟამი!

ალბათ

ალბათ დიდხანს იჭორავებთ ჩემზე,

გაკვირვება გამაკვირვებს თქვენი,

სულიერად ვიზეიმებ ბევრჯერ,

არ მივირთვი უსახელო ძღვენი.

სხვის თვალში რომ ბეწვს დაეძებთ, მიკვირს,

დირეს რატომ ვერა ხედავთ თქვენთან,

სხვის ცხოვრების ტვირთს ნუ ჰკიდებთ სხვის ვირს,

თორემ პასუხს ვეღარ აგებთ ღმერთთან.

სიყვარულით შემომხედეთ მაშინ,

სიძულვილი თვალებს როცა არ ხსნის,

სულში ტირის უცოდველი ბავშვი _

დრო დადგესო სიყვარულის ახსნის!

იქნებ აღარ იჭორაოთ ჩემზე,

გაუფრთხილდეთ სულს საკუთარ გვამში?!

მედარდებით, მეტირება თქვენზე,

ცოდვის შვილებს ტაშს რომ უკრავთ, მაშინ!

დაასხით

მზემ დაისისკენ გადაიწია,

ღამის წუთები სამყაროს უმზერს,

მთვარემ ცის კიდედ ამოიწია,
ვარსკვლავთა დასი სიჩუმეს უსმენს.
შემოეცალა საზრდო სიყვარულს,
და სულგრძელობა ტკივილებს უძლებს,
გული უპყრია ისევ სინანულს,
სინდისი არის სიცოცხლეს ფუძე!
მზემ დაისისკენ გადაიწია,
დასასრულისკენ მიდის საწყისი,
სიცოცხლე ისე გადაირია,
დაასხით... ღამის შევსვათ სასმისი!

დღეს

ვნებამ სრულიად დაახშო გონი
და ქარებს მოაქვთ ცხოვრება მრუში,
უსასრულობად ქცეულა მგონი,
ტკივილი დროში, ტკივილი სულში.
ფარისევლობა მეფობს ედემში,
გამხმარა ყველა სიკეთის კვირტი,
სიყვარულს ალბათ მხოლოდ ეძებს ის,
ვისაც არა აქვს ეშმასთან ფლირტი.

ვნებამ სრულიად დაიპყრო სივრცე,
გაჭირდა სუნთქვა თავისუფალი,
მზადა ვარ, ჩემი სიცოცხლე მივცე,
ვინც მიერთგულებს, როგორც უფალი.

იდუმალი სინანული

რა საჭიროა სიყვარული ფარისევლური,
ნუ ჩაეძიე დედამიწას როგორ ტრიალებს,
ვითომ სიკეთე სიყვარულში გადაბნეული,
ვერ მოგაშორებს დაჩეხილ და ცოდვილ იარებს.
რა საჭიროა მოტყუება მეგობრობისა,
და სიცრუეში გაცრეცილი ფლიდი ღიმილი,
ჩემი ტკივილის ვითომ შენად გადაქცევისა,
და ბაგეთაგან წარმოთქმული გლოვა-ტირილი.
ვის რად სჭირდება სამზეურად გამოტანილი,
ვაი-ვიშვიში და უგულო ვითომ თანდგომა,
გვერდზე გადექი, სიცრუე გაქვს თან მოტანილი,
ვეღარ მივიღებ და ნუ გინდა აქ ასე დგომა.
გამოგიცანი, ისეც გიცნობ, ვერ დამემალე,
ყველა გამვლელში დაგენახე გაწვდილი ხელით,

გადამაბიჯე და ერთხელაც არ დაგენანე,

გადასაგდებად გამიმეტე ორივე ხელით.

ვის რაში უნდა მოსაწყენი დითირამბები,

ქება-დიდება, შეფერილი მარაზმი დიდი,

საიდან ბუდობს სიყალბე და ბოღმა ამდენი,

ადამიანო, ნუ გახდები ეშმაკზე ფლიდი.

ცაზედ ვარსკვლავნი,ზღვაში ქვიშა, ხმელეთზე კენჭი,

ფერს არ შეიცვლის ვიდრე ამის ჟამი დადგება,

წადი და ცოდვა მუხლებზე რომ სიმძიმედ გაწევს,

ჩამოიფერთხე, სიყვარულიც ვიდრე გაცვდება.

დამძიმებულმა, დაჩოქილმა გავაღე კარი,

და სასთუმალთან ჩამომჯდარი ვით შევიცანი,

დარაბებს მიღმა ფრინველთ გუნდი ხარობდა დარით

და იდუმალი სინანული ამოვიცანი.

მე ვიძლევი პასუხებს

ჩემი ლანდის შეგეშინდა,

მე კი შენი _ მათბობდა,

სიყვარული შენ დათმე და,

სიყვარული არ გთმობდა.

კიდევ როგორ მიგახვედრო

ნატკენ გულის წადილი,

შენამდეა ეკალ-ბარდი,

შენამდეა მანძილი.

იქნებ ხმაც ვერ მოგაწვდინო,

და ვერც გულის ძახილი,

შენ თუ დამთმე, იყოს ნება,

იყოს შენი სამხილი!

შარა-შარა, შუკა-შუკა,

გამიმეტე ტანჯვისთვის,

ზღვა სიყვარულს შემპირდი და

ზღვაც დაშრიტე ამისთვის.

არ თქვა თითქოს დაიღალე,

თურმე გული გატკინე.

დაუფიქრდი _ სულში ტკივილს

კიდევ როგორ ატკინე!

ახლა ჯერი ჩემზე დადგა,

მე ვიძლევი პასუხებს.

მივხვდი თვალებს რაც მიცრემლებს,

მივხვდი თუ რა მაწუხებს.

გაიყარა ჩვენი გზები,

მსხვერპლსაც ვეღარ გავიღებ,

მომავლისკენ ვიყურები _

კარს თამამად გავუღებ!

უსასრულო ბილიკები

უსასრული ბილიკებით დავალ ახლაც,

სიმრავლეში სიმარტოვე ახლოს მიცნობს,

რა სიბრიყვე წავიკითხე თითქოს ახლაც,

არ მინდა და მაინც სევდა ადგილს მითმობს.

მე სიყვარულს გადავაწყდი ლამაზთვალას,

ამ ცხოვრებამ მაჯანჯღარა აღმა-დაღმა,

მონატრებამ გამომცალა ვით ფიალა

და სიცოცხლე, სიკვდილს უმზერს გზის გადაღმა.

მიმაქანებს დრო, წუთებად ჩამოქნილი,

პოეზიას ვეფარები წუთიერად,

სიყალბეა ზღვარს გასული და მოქნილი,

გადამღალა ამ ცხოვრებამ სულიერად.

ტაძრად სანთლებს ამინთებენ როგორც ყოფილს,

როგორც ერთდროს სიყვარულად ფერფლილ სტრიქონს,

მტვერს დაადებს დრო ჩემს კალამს და ჩემს პროფილს,

და წარსულიც დამივიწყებს, გავქრი თითქოს!

გზად სიყვარულს ხომ წავაწყდი ვნების ალად,

სიშლეგის და გაფრენების დროც ხომ იყო,

უსასრულო მოგონება მიმდევს კვალად,

უსასრულო ბილიკებით გზაც გაიყო.

სიმრავლეში ისევ მარტო დავალ ახლაც,

დროს ვაჩერებ, არ მინდა რომ იქ არ ვიყო,

ის კონვერტი ვიპოვე და დამრჩა სადღაც,

რომ ეწერა, ჩემი გული ვისთან იყო...

შენი სამყარო

შენი სამყარო შენი სულია,

შენი გულია გრძნობებთან ერთად,

ეძებ ბილიკებს, უცნაურია,

ამ ბილიკებით მიდიხარ ღმერთთან.

შენში ბინადრობს სამყარო შენი,

სხვისი ყოველთვის დარჩება სხვისად,

ვჩნდებით ეულად და ღმერთი ჩვენი,

ჩვენთან არის და მარადჟამს გვიცავს.

ნუ შეგშურდება სხვისი ფერები,

სხვისი სამოთხეც ნუ მოგინდება,

სხვა სამყაროდან მონაფერები,

შენს სამყაროსთან ვერ მორიგდება.

შენი სამყარო შენი ქმნილია,

ცხოვრებაც იქვე, ავკარგიანი,

სხვისი ნუ გხიბლავს, მარად გახსოვდეს,

ღმერთის შვილია ადამიანი.

შეშლილი შლეგი

შეშლილი, შლეგი, ძველი შარმით გაჰყევი ბილიკს,

ზეშემართულმა მოიარე მთელი სამყარო,

ყურს ნუ დაუგდებ არშემდგართ და დაბოღმილთ ქილიკს,

იფრინე ზეცას ეგ სიშლეგე რომ გაამყარო.

გაუღიმილე გულში ჩამდგარ ყველა ოცნებას,

მეხთა გუგუნში არ დაკარგო იმედი ხვალის,

ზურმუხტისფერი ცად ღრუბლები გიძღვნიან ქებას,

არ სურთ დაკარგონ შენი ხიბლის ერთი მისხალიც!

გაიხალისე სიცოცხლე და ცხოვრება მთელი,

მი და მოფანტე მარგალიტად შენი ღიმილი,

მოეფერე და ჩაიხუტე ის ვინც შენ გელის,

მუხლს ნუ მოიდრეკ _ არ უხდება ბრძოლას ტირილი.

შეშლილო, შლეგო, კვლავაც ხიბლით გაჰყევი ბილიკს,

მი და მოფანტე მარგალიტად ღიმილი შენი,

ყურს ნუ დაუგდებ არშემდგართ და დაბოღმილთ ქილიკს,

ეგ სიყვარული, გულში რომ გაქვს, რარიგად გშვენის!

შვების ცრემლი

გაზაფხულს ახლავს წყურვილი ახლის,

გამოღვიძება გულს,

დაეძებს, ეტრფის, სიყვარულს განცდილს,

ცოდვით ამძიმებს სულს.

კლდიდან არწივი ბარად ჩამოდის,

დაეძებს ცოდვილ მსხვერპლს,

დილის მზის სხივი, ან ათინათი,

ეალერსება მთებს.

მხურვალე ფიქრი, საამო ვნება,

სხეულზე გაწვა მზედ...

თვალთაგან ღვარად მოედინება

და შვება მოაქვს ცრემლს.

ჩავლილი წამი

ვხედავ, დაგღალა წუთისოფლის ამაოებამ,

ვხედავ, დაგათრო წუთიერმა დროის სიამემ,

ზღვარს ნუ გადახვალ, არ გაცდუნოს ემაგ დროებამ-

ღია ჭრილობებს მერე ვეღარც დრო დაგიამებს.

გონს ნუ წაგართმევს ზღვარგასული საწუთროს ბოდვა,

გულს ვეღარ უსმენ, რადგან ტვირთი გიკარგავს ხალისს,

სიბერის ჟამი დაგაღონებს, დაგრთგუნავს ცოდვა,

მხოლოდ სიკეთის, სიყვარულის გჯეროდეს ძალის!

უსასრულობად მიჩნეული ცხოვრებაც გარბის,

თვალს დაგისველებს უიმედო ცრემლების ნამი,

გაგახსენდება და დაგთრგუნავს კადრები ამ დღის,

მაგრამ ვერასდროს დაბრუნება ჩავლილი წამი!

გურულების გურია

გურულების გურიავ,

შენთან ყოფნა მწყურია,

აქვე ჩემი გულია,

აქვე სიხარულია!

ლხინის მადლით ვივსები,

არ მჭირდება მისნობა,

სიტყვის ძალა, ვით მთები,

გურულებით იცნობა!

ვდგევარ, სადაც მადლია,

სადაც გულს არ გაცლიან,

თქვენთან ყოფნა სწყურია,

კაცია თუ ქალია!

და ძმით და ძმა _ დით

სამყარომ ერთად ამოგვსუნთქა და

დედის წიაღიც გვარგუნა ერთი,

ჯიში, ჯილაგი, სისხლი ძარღვებში,

ჩქეფს გულში, როგორც სიცოცხლის ღმერთი.

ერთი გვარი და წარმომავლობა,

გრძნობა, გონება _ ჩართული ჩვენში,

წინაპართ ფესვი შთმომავლობას

ჩახლართული გვაქვს გულსა და გენში.

და ძმით და ძმა _ დით წელგამართული,

უსიტყვო გრძნობა ნათელფრთიანი...

ღმერთო, დალოცე ჩემი სისხლი და

არ გამიწყვიტო ძარღვი მთლიანი!

ოჯახია სიწმინდე

ოჯახია სიწმინდე,

ოჯახია კერია,

სადაც ხარობს სიკეთე,

სიყვარულით გელიან.

სადაც სულის ზეიმი,

ანთებულა კელაპტრად,

სითბო და სიხარული,

მიმაჩნია ყველაფრად.

სიყვარულით ნაგები,

საძირკველი მყარია,

ეზო-კარში ბალღები,

გახარებენ ძალიან.

ყოველდღიურ რუტინას,

ბედნიერი აფასებ,

არ გადარდებს უძინარს,

დრო თუ არ დაგაფასებს.

არა ტანჯვა _ ვაება,

ერთგულება _ ფიცია,

მახეშიც რომ გაება,

სიყვარულად გიცნია.

ოჯახია სიწმინდე,

სიყვარულით ნაგები,

სხვა დანარჩენს ვინც მიწვდეს,

დაამთავრებს წაგებით.

სამტრედია

სამტრედია, იმერეთის მშვენება,

სამტრედია _ სიყვარულის ალაგი,

მის გარეშე ამ გულს რა ეშველება,

სიყვარული მსგავსი კიდევ სად არის!

მოქარგული სიტყვა და მადლიანი

ნიჭი უხვად ზეცით მოედინება,

სამტრედია, სიყვარულის აკვანი,

მზის სხივია და სიცოცხლის დინება.

ამ დალოცვილ და მადლიან კუთხეში,

იმერული ოდა ლხინით ივსება,

სამტრედია თბილად გიკრავს უბეში,

სამტრედია სანთელივით ინთება!

სულის ჰარმონია

მეფინები გულზე ტკბილად,

მეფინები მალამოდ,

ჩემი სულის სიტურფედ და

ჩემო დილა _ საღამოვ!

ვბედნიერობ შენი სუნთქვით,

შენი ენის ტიტინით,

სიცოცხლის და სიყვარულის,

ჩვენებური ღიღინით.

ჩემი სულის ნაწილი ხარ,

ჩემი გულის ალერსი,

ვერ აგიხსნი რად მიყვარხარ,

გიხსნი მხოლოდ ამ ლექსით!

წელი ახალი

კიდევ მესტუმრა წელი ახალი,

ახალ სურვილებს ვძერწავ,

სიყვარული და სითბო რაც არი,

მინდა მათბობდეს წელსაც.

ვერაფერს ვფიქრობ, ვერაფერს ვამბობ,

მზესთან ვაფრინე ნატვრა,

და სიყვარულის უნაზეს ამბორს,

მიჯნურთა გულებს ვატან!

დაგემშვიდობო

არ მინდა გითხრა _ ნახვამდის,

არ მინდა დაგემშვიდობო,

სული საფრენად მზად არის,

აქ უნდა სულს სამშვიდობო.

გაყრა გართულდეს ეგება,

გულს დარდი მოკლავს ტიალი,

სანთლად სულში რომ ენთება,

სიყვარულია მზიანი.

ვერ ვამბობ სიტყვას: ნახვამდის...

დრო მამცნობს, დაგემშვიდობო,

სცენაზე დგება სხვა ხალხი,

ფიქრობენ, თავებს ვირთობთო.

მომბეზრდა სხვათა სიყალბე,

სიმშვიდე მინდა ვიპოვო,

ჩამოიხსენი ნიღაბი,

მომძებნე, რომ მომიპოვო!

ღირსება

სიკვდილო, ნუღარ დამენახები,

სიცოცხლემ მინდა გაინავარდოს,

ფარისევლობავ, დატოვე გზები,

ცოდვა-სიბილწევ, ნუღარ კარგავ დროს!

სიძულვილს უნდა ვუთხრა სათქმელი,

არც ეცადოს და არც დამენახოს,

სიყვარულით ძგერს სამყაროს გული

და ამის მეტი არც რა მენახოს!

უკვდავებასთან მივდივარ თხოვნით,

სიყვარულს მისცეს სიკეთე მეტი,

მარადიული სიცოცხლისათვის,

თავისუფლებით ვიწამოთ ღმერთი!

ღირსება გქონდეს, იყავ ალალი,

სიკვდილმა თუნდაც არ დაახანოს,

ღმერთშია ძალა და სამართალი,

და ჩვენც ღვთის ჯვარი სულში აღვმართოთ!

ამიტომ პოეტო

სულით ფაქიზი ხარ და იწვი პოეტო,

სულში ჩამალული დარდით და ფიქრებით,

პოეტნიც ამიტომ, ამიტომ ვპოეტობთ,

ავენთოთ კელაპტრად სანამ აქ ვიქნებით.

და მერე საწუთრო ჩვენს ლექსებს მოაბნევს,

ღიმილად, ფიქრებად და დასაფიქრებლად,

ამიტომ პოეტო უნდა იპოეტო,

უნდა გადმოდინდე ზღვა მარგალიტებად.

და გეფერები ამ ლექსით

უბის ჯიბეში გიზივარ,

გულს სიყვარულით გიმთელებ,

ზამთარში თბილი ქურქი ვარ,

ზაფხულში ნიავს ვიფერებ.

შენთვის ვინათებ ცის კიდედ,

შენთვის გავხდები ცისკარი,

სიტურფე გულით გიზიდე,

ბედნიერებად გიცანი.

კვლავაც დავლახავთ ჭიუხებს,

მე აგენთები კელაპტრად,

გრძნობის ვერ ვმალავ სიუხვეს,

და სიყვარული მეზღაპრა.

სულს მოენატრა ეგ სითბო,

გრძნობებს მოსწყურდი ალერსით,

გეტრფი, მიყვარხარ, გულს გითბობ,

და გეფერები ამ ლექსით.

დარდი

დარდი ლექსებში იბუდებს,

გულს თუ აჩნია იარა,

ეს ლექსიც იმან იკითხოს,

ვინც დარდი გამოიარა.

სალხინო სიტყვას სხვა იტყვის,

სხვაც წაიმღერებს იალაღს,

დარდად დაღვრილი, დამშრალი,

გულს ვერ გაუთბობს ვიღაც ლაღს.

დარდი ძნელია, ულევი,

გზად ანადგურებს სატივეს...

ისევ ლექსები უშველის,

დარდით დატენილ სატირელს!

დილის ნაფიქრალი

საღამოს მთვარეს დაველოდები,

რომ მომიქსოვოს ფერების გამა,

ისევ სიცოცხლეს ჩავეჭიდები

და უსასრულოდ გავყვები ალბათ.

დილის მზის სხივი გამაცისკროვნებს,

მარადიული გახდება სული,

თუ მეყვარება სამყარო ისე,

როგორც ოდითგან ეს იყო თქმული.

ლექსად სათქმელი

ლექსებად იწვის სათქმელი,

გულიდან ალი ბრიალებს,

აღარც კი ვიცი სად გელი,

შენი სურნელი ტრიალებს.

წამიკითხავდე ჯობია,

სათქმელს ნუ დამიგვიანებ,

იქ სადაც თეთრი თოვლია,

ვერ ამოვიყვან ლიანებს.

შენთვის სათქმელ და სასმენი,

ლექსებით გამოვლინდება,

შევსვი გვიანი სასმელი,

მივენდე ბედის დინებას.

ლექსია სულის ქათიბი

ლექსია სულის ქათიბი, გრძნობით ნაქარგი სამოსი,

გულში სათუთად მალული ნაკადულად რომ გადმოდის,

სულის სარკეა ხილული, მარგალიტებით ნამოსი,

ლექსი საზრდოა მკითხველის მთქმელს თუ სათქმელი გამოსდის.

ბუნებამ ნიჭი აფრქვია, სულსაც დაუდგა ცხონება,

მთავარი არის სათქმელი ვის როგორ მოეწონება,

წრფელი თუ არის გრძნობები, გულიც მას დაემონება,

საწუთროს ერთი აგური _ ეს არის ჩემი ქონება.

12.11.2017

მოდი ნუ გამკიცხავ

ლექსი ისე არის, როგორც სულის სარკე,

სიტყვებს მარგალიტად თუკი გადაკინძავ,

და თუ წაიკითხავ, იქნებ შემიბრალო,

იქნებ მომეფერო, მოდი, ნუ გამკიცხავ.

თუკი სულის სარკეს გრძნობით შეეხები,

თუ მტვერს რუდუნებით ფრთხილად გადაწმინდავ,

მაშინ გამოჩნდება ჩემი სილუეტი,

მაშინ დამინახავ, როცა არ გამკიცხავ.

28.01.2016

თუ

თუ ბაღის ბოლოს უკვდავება დამელოდება,

თუ სიცოცხლეში კიდევ ერთხელ იმღერებს გედი,

თუ ოცნებები არ იქნება მხოლოდ გოდება,

და თუ საშველად დამეწევა მუსიკა ვერდის...

თუ ლაჟვარდ ცაზე ჩემი სხივიც მიწვდება ზეცას,

თუკი ყვავილებს დაესხმებათ სიტურფით რეტი,

თუ სიყვარული სიხარულად გადამექცევა,

აღარას ვდარდობ და არც მინდა ამაზე მეტი!

თუ ჩემს სამშობლოს ღვთისმშობელი კვლავაც დაიცავს,

თუ ქართველთ რწმენა გამჯდარია ჯიშსა თუ გენში,

თუკი სიყვარულს ერი გულში ტახტად დაიდგამს -

აღმოიფხვრება ბოროტება, სრულიად, ჩვენში!

თუ ბაღის ბოლოს უკვდავება დაგველოდება,

დაგველოდება და სიცოცხლედ აღმართავს ტაძარს,

ნათელი სხივით დასრულდება სულთა გოდება

და დააბრუნებს სამოთხეს და სიცოცხლეს ახალს!

მიეც

მიეც სიყვარულს უფლება,

იყოს სულელიც, გულჩვილიც,

ბოღმა ნუ დაგეუფლება,

უბედობაზეც ნუ ჩივი!

მიეც სულს თავისუფლება,

სიცოცხლე თავად განაგოს,

ყველას აქვს იმის უფლება,

თუნდ სიზმრად, კოშკი ააგოს!

მიეც სიკეთეს დინება,

თანაც გულუხვად გაეცი,

ცოდვა ზღვად დაგედინება,

თუ მოკვდი, მიწას დაეცი.

მიჰყევი უფალს, მის ნებას,

სულს ბორკილები აჰყაროს,

ცხოვრება არის მიგნება _

გულსჩატეული სამყარო!

რა ვქნა

რა ვქნა თუ დახეთქილ იარებს ვეღარ ვგრძნობ,

დამშრალან წყარონი, მზეც კვდება ბრდღვიალა,

სულს აწვიმს, გაზაფხულს ნელ-ნელა ისევ ვთმობ,

სიცრუეს სიწრფელე უფსკრულში მიაქვს თან!

რა ვქნა თუ თენდება ჟამისფრად ზაფხული,

და შემოდგომასაც ფერები დააკლდა,

სიყალბეს სამყარო აქვს გადახაზული,

ამიტომ, ამიტომ, გულს ჰკოდავს გზადაგზა!

რა ვქნა თუ სამშობლო მომტაცეს თანდათან,

სევდა და ნაღველი მიგუბეს ამ გულში,

მოყვასიც არ დარჩა ამ მიწის დარაჯად,

მტერია ჩემს სახლში და სახლის აგურში!

რა ვქნა თუ სიყვარულს დაუხშეს დარაბა,

ადამ და ევასებრ გახშირდა ცოდვები...

შეშლილა, შეშლილა სამყარო და რა ვქნა,

შეშლილებს, მითხარით, ვუყურო როდემდის!

შემომეძარცვა ყოველი

სათქმელს ვამბობ და მისმინე,

წამიღო დარდმა, ვარამმა,

დრო აღარა მაქვს, ვითმინე,

დრო გამეპარა, გავარდა!

თან მიაქვს ჩემი სიცოცხლე,

ბედმა უბედოდ მატარა,

შემომეცალა ყოველი,

იმედიც ჩაქრა პატარა.

ახლა მაინც ვთქვა სათქმელი,

ვთქვა, გული სანამ გათავდა,

ეს ბედ-იღბალი სათრევიც,

დავკარგე, სადღაც გამქრალა.

შემომეძარცვა ცხოვრება,

ამდენ ხანს რაც რამ მეზადა,

ეს დროებითი დროება,

დროშივე შემომეფანტა!

რა დამრჩა?? დარდი ნაღველი

საშემოდგომო ხის ბედი,

ვიდრე შემეძლო, ვიყავი,

ვიყავი მხოლოდ იმედი.

ცხოვრების თამაშს ვერ მივხვდი,

მატარა აღმა, ხან დაღმა,

ბოდიშსაც ისევ მე ვიხდი,

გადმოღმაცა და გადაღმაც!

შემოჭრილ ფიქრებს

შემოჭრილ ფიქრებს შემოდგომის დაჰყვება სუსხი,

ველარ ვიხსენებ ბავშვობის და ყრმობის კელიებს,

თვალებდათოვლილ ზამთრის ბაღებს ამაყად ვუცდი,

გულსჩარჩენილი რომ ვუამბო კეთილ ფერიებს.

ვზივარ და ვფიქრობ _ რისთვის ჩნდება ადამიანი,

თუკი სიცოცხლე თვით სიცოცხლეს ამ სულს უწამლავს?!

მარადიული სილამაზე ალბათ ის არის,

თავად სული რომ ჩვენს სხეულში ღმერთს ჩაუმალავს!

ჩამოათოვებს ჩემს ბაღებზეც ზამთრის ფიქრები,

ყოველდღიურად სიყვარულში კვლავ ვიფერფლები,

დაბადებიდან გარდასვლამდე ვიდრე ვიქნები,

სამყაროს ისევ თბილ სხივებად მოვეფინები.

წავალ და

წავალ და ვიფრენ მერცხლებთან ერთად,

ან გავიჭრები ეული ველად,

თუ ვიზღუდები ზომაზე მეტად,

მე ხომ სილაღე მიყვარს ზედმეტად.

ლექსებში ვმალავ დაფარულ გრძნობებს,

და ვერგამხელილ თავისუფლებას,

ვაჩერებ პულსს და ვხედავ, ვერ მცნობენ,

ცხოვრება მართმევს სუნთქვის უფლებას.

მსურს რომ ვიფრინო მშვიდობის მტრედად,

შევკრა კამარა ზეცად ღრუბლებთან,

თუ მომევლინე, სიცოცხლევ, ღმერთად,

არ ჩამითრიო ქვესკნელ სულებთან.

გადავაბიჯე

არ მეთმობოდი, მაგრამ წახვედი,

წახვედი, რადგან არ გსურდა ჩემთან,

ეს გაზაფხული, ტაძრის ეს ხედი,

კვლავ სინანულით მაბრუნებს ღმერთთან.

თუ დასასრულის მოჩანს კარიბჭე,

მზად ვარ, ვიარო, ვიარო კენტად,

არარაობას გადავაბიჯე,

სულის ზიარი ვიწამე მეტად.

რადგან წახვედი, რადგან დამტოვე,

რადგან თამამად დაშორდი მზესაც,

გადავაბიჯე თამამად მსტოვრებს,

გადავაბიჯე... და ვცოცხლობ დღესაც.

რატომ აღარ ვგაზაფხულობ?

რატომ აღარ ვგაზაფხულობ, იცი?

სულში თითქოს ზამთარია ცივი,

სასთუმალთან ჩამომჯდრი ჩიტი,

წარსულს ჰყვება და საბრალოდ წივის.

რატომ ჩადგა ამ თვალებში სევდა?

თითქოს გული უკვდავებით ფეთქავს,

ეჭვები კი, გაფანტული ირგვლივ,

სინანულის მოგონებებს კემსავს.

არ თქვა, ისევ მოგენატრე კარგო,

ნუ თვალთმაქცობ ე მანდ არ დამკარგო,

თორემ გულში დამალული ფიქრი,

უმალ გამხელს და ვნებებში მიქრის.

ნუღარ გიკვირს, ჩამოთოვა სევდამ,

სულს დააჩნდა ცრემლი _ სევდისფერი...

ალბათ ჩემმა სიყვარულით ხედვამ,

თავის დროზე გაპატია ბევრი.106 107

სულ არაფერი

სულ არაფერი... გაფრენილა წუთიც სოფლისა,

სულ არაფერი დარჩენილა მოსაგონარი,

წინ თითქოს დიდი გზა მეგონა ჩემად ყოფნისა,

უკან სახედზე დარჩა მხოლოდ მტრედის გოგმანი.

სულ არაფერი მდომებია მცირე ქოხისა,

და სიყვარულით შემომთბარი კერიის გარდა,

არც არაფერი არ ყოფილა წუთისოფლისა,

ხიბლი და ლტოლვა და ქორწილი წისქვილთან ქართა!

ვარ არაფერი არაფერში გადაკარგული,

და მონატრება დათარეშობს სულებთან მაღლა,

მარტოეული დავრჩი აქაც გადმობარგული,

და არაფერი მემომცქერის თვალებში ახლაც!

ამაოება ამა ქვეყნისა

მე შეგახსენებ, რომ ბოროტება მიწაზე გაჩნდა,
და შეებრძოლა ღვთითბოძებულ გრძნობას _
სიყვარულს.
დააკარგინა კაცთა მოდგმას ერთურთის განცდა,
მტრობით და შურით დაგვიმონა,
ვერ ვგრძნობთ სინანულს!
ამაოება ამა ქვეყნის თუ არ ვიგრძენით,
თუ სიყვარულით არ ავავსებთ
ამ დაბურულ გულს,
ჩვენი სულები ცოდვებისგან თუ არ ვიხსენით,
დავიმსახურებთ ღმერთის სასჯელს...
თუმც შენდობა გვსურს.

გარდაცვალება

გარდაცვალება მოკვდავთათვის მძიმე ხვედრია,
ტირის ბუნება, ზეცას სცვივა წვიმის წვეთები,

სიცოცხლისათვის სიკვდილის გზა გასავლელია,

ცრემლი შეიშრეთ, წესის შეცვლას ნუ შეეცდებით.

გზა მართალს დავდგეთ, ვალი გვმართებს, სიცოცხლის ვალი,

ცოდვამ და ბრალმა სიყვარული სულ გადარია,

ისე დაშრიტა და დაცალა, არ დარჩა კვალი,

ტაძაში ლოცვად ჩუმად ისმის „ავემარია“...

ასე ყოფილა კაცთა მოდგმა ... ჩვენი ბრალია,

კაცობრიობის შეცდომებმა არია გზები,

გარდაცვალება სულს ამშვიდებს ისე ძალიან,

შეხედეთ, უთრთით ანგელოზებს ფრთიანი მხრები!

საყვედური საწუთროს

რა ულმობელი ყოფილხარ,

საწუთროვ, ვეღარ გიგებ რას,

ის მეგობარი წამართვი,

გულს რომ სიამით მივსებდა.

მასვი შხამი და ნაღველი,

სული სულ გადამიმძიმე,

ერთი ლამაზი ყვავილი,

უდროოდ გადამიწყვიტე.

გადამიშავე სამყარო,

გული მთლად ამომაგლიჯე,

მის ღიმილს როცა მართმევდი

მაშინ მე რატომ არ მკითხე?!

მზეს რა ლამაზად ავსებდა,

ის მადლი და სათნოება,

სიცოცხლეს გაგინაზებდა,

სიყვარულს მოგანდომებდა!

რა ულმობელი ყოფილხარ,

საწუთროვ, ცრუვ და მარქვიავ!

შენ მეგობარი წამართვი,

მას ჩემი გული თან მიაქვს!110 111

ულმერთობის ანა-ბანა

მოვდივართ და ვიტანჯებით,

ბილიკ-ბილიკ, შარა-შარა,

არ გვაკლია გულს დარდები,

დრო კი გარბის ჩქარა-ჩქარა!

სიცოცხლეს ვერ შეველევით,

შეგველევა თავად ჟამი,

გაგვიხდება სანატრელი,

როცა მოვა ბოლო წამი!

სიკვდილისთვის სასიკეთო

დავინანოთ ყველა წუთი,

გულს ვუბრძანოთ, რომ იფეთქოს,

სიკეთით და სიყვარულით.

დღეს რა როგორ მოვიხვეჭოთ,

ნუ გავხადეთ საფიქრელი,

ბოღმა, დარდი ჩამოგვახრჩობს,

ტანჯვა იცის საშინელი.

ყველგან უხვად მოვაფრქვიოთ

სიყვარული და ღიმილი,

თუ გვაქვს, გავცეთ, თუ არადა,

არ გვიშველის არც ტირილი.

გვახსოვდეს რომ სტუმრები ვართ

სამყაროში, სადაც ვცხოვრობთ,

უღმერთობის ანა-ბანას,

ვეწირებით და ვმათხოვრობთ...

სული მისი ცაში ავა,

ვინც სიკეთე სთესა მხოლოდ!

ნახვამდის

მაოცებს თქვენი გარყვნილება,

მაფიქრებს თქვენი თამაში,

ნუთუ თვალთმაქცობა არ გწყინდებათ,

წოლა აბლაბუდას ჰამაკში?

სადღაც დაგეკარგათ სიკეთე და,

სჯობდა აგეტეხათ განგაში,

თითქოს წაგიკითხავთ ათი მცნება,

მაინც ამჯობინეთ თამაში!

ბოღმა, შური საზღვრებს ისე სცდება,

სიტყვას სურნელება არ ასდის,

სხვისი ცუდი აღარც გედარდებათ,

სხვისი ცუდით ხარობთ მარადის.

ვამბობ, ბოროტს რატომ აძლიერებთ,

დრო ხომ დათვლილია ხვალამდის,

მე კვლავ თქვენთვის ლოცვას გავაგრძელებ,

წირვა არ გამომრჩეს... ნახვამდის!112 113

როგორ დავიღალე

როგორ დავიღალე ამ უაზრო,

მოდად გადაქცეულ სამყაროში,

სადაც შეუძლიათ რომ უარგყონ,

სადაც ფასობს მხოლოდ სამი გროში!

სადაც გაგვიმეფდა სიძულვილი,

გულში ჩაკირული ცივი გრძნობა,

სადაც ვერ ავენთეთ სიყვარულად,

რადგან უარჰვყავით კაცთა მოდგმა.

როდის დამთავრდება კომედია,

ნუთუ კარს მოგვადგა ავი სენი?

ნუთუ გონს იუდა მოერია?

სული როგორ ვიხსნა, ამიხსენით!

როგორ გადამღალა ამ უაზრო,

ყოფნა-ხეტიალმა უდაბნოში,

ლოდინს დაეკარგა დრო უსაზღვრო,

უნდა დავასრულო ბრძოლა ომში!

უნამუსობის პიკია

უნამუსობის პიკია,

მორალს კითხულობს მზაკვარი,

ამორალური გიდია,

სხვის დასამოძღვრად მზად არი.

თავად ბოროტის მჩხიბავნი,

ხელს გაიშვერენ ალალზე,

ცოდვის სიამით მზიდავი,

სხვას უმრუდებენ სავალ გზებს.

უნამუსობის პიკია,

„დითირ ამბების“ ეპოქა,

ფარისევლურად ტირიან,

საცდური ვიდრე ეყოფათ.

მიზანმიმართულ ავ ზრახვებს,

დაეხშო გულიც, გონებაც,

თავად იხრჩობენ ურჩ თავებს,

რჩებიან ცოდვის მონებად.

უნამუსობის პიკია,

ბოღმამ წალეკა საზღვარი,

ნეტავი საით მიდიან,

მათი სამიზნე რა არი?!114 115

ეგ დავიწყება

მაგ დავიწყებით აღარ მოვიწყენ,

თუმცა წარსული გულზე მატყვია,

ვიცი, ვერასდროს ვერ შევცვლი განვლილს,

მაგრამ სიტყვები კურნავს ნატყვიარს.

ვერ დაგივიწყებ დილის მზის სხივზე,

აციმციმებულ თვალთა კიაფით,

სამყარო ტრფობის თვალით რომ მიმზერს,

გული მევსება მეტი სიამით.

ნაჩუქარია არდავიწყება,

გაბრუებული დილის ნიავით,

მადლი ზეცაში მიწით იწყება,

ციდან გადმოდის სხივით მცინარით!

სიცოცხლის ხალისს ნათელი სახით,

შევეგებები ჟამთა ტრიალით,

მე მაინც ვიგრძნობ ამ სულში აისს,

როს დავიწყება მოვა, ტიალი!

ვაი ნაძრახსა სიცოცხლეს

ვაი, ნაძრახსა სიცოცხლეს

სიკვდილი თუ არ მერჩიოს,

სამშობლოს მალვით მპარავენ,

გული როგორ არ მეტკინოს!

რწმენასაც თუ წამართმევენ,

თუ დამამსგავსეს ბეციოზს,

სიცოცხლე არაფრად მიღირს,

ვინძლო მოყვასსაც ეწყინოს!

საშველიც არ სჩანს, ცრემლები

მორწმუნეთ ღვარად ედინოთ,

ჩემო ქვეყანავ, ვერ გშველი,

აღმართში ქვა დამეწიოს.

გამომეღვიძა: უფალო,

სამშობლომ ზვარად შემწიროს.

თავად გადარჩეს და რწმენით

ტაძრებს კვლავადაც ეწიროთ!116 117

წამი

წამი განსაზღვრავს წუთს და სოფელსაც,

წამი სიცოცხლედ გადამექცია,

არ მინდა მასთან, ვისაც, რომელსაც,

სიკეთის კალთა შეუკვეცია.

წამი გაირბენს ბედნიერებად,

ზოგჯერ გლოვადაც გადაქცეულა,

თუ მარადისში ბედი ერევა,

ცხოვრებაც ბედით რჩება ეულად.

წამი განსაზღვრავს სიცოცხლის ხანას,

და ეს სიცოცხლეც გვხიბლავს და გვატკბობს,

რა მინდა მასთან, ვინც მარტყამს დანას

და ანგარებით შესცქერის პატრონს.

წამი სიცოცხლის დასაწყისია,

დასასრულია იგივე წამიც,

არ მინდა მასთან და არც ღირსია,

ასეთს დავუთმო სიკეთის ჟამი!

წამის წამები

წამის წამებით მიდის ცხოვრება,

წამებ-წამებით მივყვებით უკან,

ადამიანი მაშინ ცხონდება,

როცა ერგება ნაშრომი ლუკმა.

წამის წამებში ვიცვლებით ყველა,

დრო ჩართულია, არ გვეკითხება,

ისევ ღმერთისგან ვითხოვოთ შველა,

ვიდრე ეშმაკი აგვეკიდება.

წამით წამებას თუ გავუძელით,

და თუ გოლგოთას დავადგით ფეხი,

წმინდა გიორგი ნაწამებ ძელით,

ავ ფიქრს დანაცრავს ზეციდან მეხით.

წამის წამებით ნუ შევიცვლებით,

ნუ დაგვაბრმავებს ცრუ ნეტარება,

ჩვენ ერთმანეთს ხომ დღესაც ვჭირდებით,

და ერთმანეთი თუ გვეყვარება, _

წამებ-წამებით აღარ მოვკვდებით,

მხოლოდ და მხოლოდ გარდავიცვლებით,

და უფალს მშვიდად მივეახლებით,

ანგელოზებად ფრთაგაშლილები!..

წამის წამებით მიდის ცხოვრება,

წამებ-წამებით მივყვებით უკან,

როცა სიკეთე ღვთისგან ცხონდება,

სულს შეერგება ზიარი ლუკმა!118 119

მადლად მერგე

არ თქვათ, რომ სიცოცხლე დამღლელია,

ვეტრფი ყოველ დილას მზისსხივიანს,

ცრემლი სიხარულად დამდენია,

როცა შენ გიყურებ ღიმილიანს.

და ეს დაბადებაც ღვთის მადლია,

ჩემი გაბრწყინებაც, მერე...გვიან,

შენით სატანჯველიც ადვილია,

შენით, ახლა უკვე, დედა მქვია!

09.01.2019

* * *

ღმერთი დაიცავს ყველაფერს წმინდას,

ღმერთი მამაა და ყოვლად წმინდა,

ჯვარზე გაეკრა სიცოცხლის ნიშნად,

ჯვარი ლოცვაა, სიწმინდის ნიშა.

სიცოცხლის ცოდვა უფალმა ზიდა

და სიყვარულით კვლავ გვშველის ციდან,

ვიცი, დაგვიცავს მარად და ყველგან,
ვიდრე სინანულს მოელის ჩვენგან.
ღმერთი დალოცავს ყველაფერს წმინდას,
რადგან მამაა და ყოვლად წმინდა,
ჩვენ?.. ჩვენ რა გვინდა?!. რანი და ვინ ვართ,
ან ეს სიცოცხლე როდემდე გვინდა?!120 121

ვნების კვირა

გოლგოთას ყველა გადავივლით, გაჭირდეს თუნდაც,
სიცოცხლე სიკვდილს ემალება, ცოდვა სჯის სულსაც,
სიყვარულს ხარბად დავეწაფოთ, ნუ ვკარგავთ წუთსაც,
გვიყვარებოდეს ერთმანეთი, ლოცვა ხსნის გულსაც.
წინაპართ სისხლით გაპოხილი მიწა კვლავ წუხს და,
ეშმაკი თან გვდევს ეშმაკურად და გვირჩევს მრუდ გზას...
სხვას რას წავიღებთ იმ ქვეყანას, ერთურთსაც ვუთხრათ,
ადათ _ წესები შევინახოთ, ნუ წარვწყმედთ რჯულსაც.

მადლიერი ვარ

მადლიერი ვარ, ღმერთო, გაჩენის,

მადლობელი ვარ, როგორც მარჩენდი,

ის სიყვარული, რაც გამაჩნია,

ჩემს გულს უტყუარ ლაქად აჩნია.

უფალო, მომეც ძალი და გონი,

ამ სამყაროში გავგიჟდი მგონი,

ეს გული წრფელი გადამირჩინე,

და უტყუარი გზები მიჩინე.

გიყვარებოდეთ ერთმანეთიო,

სულის ხსნა არის ერთადერთიო!

უგუნურება ანგრევს სამყაროს,

მცირე ლოცვებით სული ვერ მყარობს.

მადლობელი ვარ მცირედის, დიდის,

რადგან დათვლილი სიცოცხლეც მიდის,

რადგან სიყვარულს უფალი უვლის,

უფალთან კარი ღია მაქვს, გულის.122 123

მშვენიერია სამყარო მართლაც

მშვენიერია სამყარო მართლაც

და ეს მშვენება გარემოს ახლავს,

სიყვარულია ირგვლივ და თანაც,

ესალბუნება ამ გულს და ამ თვალს.

ვხედავ, სიცოცხლე მეფრქვევა ამ წამს,

რადგან სამყაროს სიკეთე ხატავს,

ზღაპრად ვკითხულობ რაც ვწერე, რაც მწამს,

და მრწამსი ჩემი უფალს და ხატს ჰგავს.

ზედიდებული არის უფალი,

მისით იწყება აქ დროის ათვლა,

ვარ ლოცვის მადლით თავისუფალი...

მშვენიერია სამყარო მართლაც!

რაღა დავწერო

რაღა დავწერო, რა ვიმღერო, რა მოვიგონო,

ღმერთი ყოფილა სიყვარული... უსახელოა,

თუ იგრძნობ, რასაც მოვინდომებ? რა მოვინდომო,

ან რა სახელი დავუძახო, ცოდვის ხე როა!

თუ არ იგრძენი, მე ვერაფრით დაგეხმარები,

შენი სანთელი შენთვის უნდა იწვოდეს მხოლოდ,

სხვის ტაძარშიაც მხოლოდ სხვისთვის რეკენ ზარები,

შენი ააგე თუ გინდა რომ ზიარგყონ ბოლოს!

სულის სიმცირე შთაგონებას ნუ შეაჩერებს,

ცოდვის ზეიმი აცეკვებს და აცოცხლებს ბოროტს,

სული დიადი და მართალი ყველას შთაბერეს,

მერე ცოდვები აშენებდნენ სოდომს და გომორს.

რაღა დავწერო, რა ვიმღერო, რა მოვიგონო,

უფალი მეფობს, ნათქვამია...წერია ყველგან,

ჩემი ცოდვილი სიტყვისას თუ ირწმუნებ ბოლოს,

ნუ ვეძებთ ახალს, ვიწამოთ და მივიდეთ ღმერთთან...124 125

სამყაროს ხედვა

ღმერთო, მაჩუქე ამ სამყაროს აღქმის თვალები,

შენით შექმნილი სიდიადე რომ შევიმეცნო,

ჩიტების გუნდი ზეცაში და ვარსკვლავ-ხალები,

თვით მათხოვარი კარსმომდგარი, ახლობლად მეცნოს!

კიდევ, მაჩუქე ის თვალები, შეცნობის მტერთა,

რომ ლამაზია ცა და მდელო მოყვასის გვერდით,

რომ, მშობელია ჩემი გულის საწყისი ფეთქვა

და მომავალიც შვილებშია ჩაწნული ღმერთით.

ღმერთო, მაჩუქე სიყვარულით ხედვის თვალები,

მართალი სიტყვა სიკეთისმქმნელ ძალას ვადარე,

შენ ხომ სამყარო შეგიქმნია სიყვარულისთვის

და ჩემი გულიც ამ სიყვარულს თან დაატარებს!

სიყვარულია უკვდავება

ამ სამყაროში,

სიყვარული უკვდავებაა,

თავად უფალი,

ათი მცნებით გვამცნობს სიმართლეს,

ამ სიყვარულით,

გულიც თითქოს სუფთავდება და,

ამ ცხოვრებაშიც

სიყვარულით უფრო გვიმართლებს.

მე თქვენ მიყვარხართ,

მაგიერი მაჩვენეთ გული,

უკიდეგანო სიყვარულში,

სიხარულია,

ღმერთმა იშვილა ყველა,

ვისაც შთაბერა სული,

ყველა მართალ სულს

ათი მცნების გზებით უვლია!

არა შიშით და მწუხარებით

შეტოკდა გული,

არცა ურვამ და გოდებებმა

მოიცვა სული,

მე თქვენ მიყვარხართ

და ჩემშია ეს სიყვარული,

და არ ჰქონოდეს,

არ ჰქონოდეს მას დასასრული!126 127

სულის სიმშვიდე

შემოეძარცვა სხეულს ვნება ოდეს განცდილი,

ვცდილობ გავიქცე, დავემალო ამაოებას,

თუ დამინახე, ზეცად რომ მაქვს ხელი აწვდილი,

გთხოვ, გაიხსენო, რომ მტანჯავდა სიზმრად გოდება...

სულს რომ სიმშვიდე მოვუტანო ცად ასასვლელად,

გრძნობადაცლილი გავუყვები ბილიკებს ტაძრის,

დავანთებ სანთელს მე ცოდვების აქ დასათვლელად,

ასჯერ მადლობას გადაგიხდი, რაც ვპოვე ამ გზით.

ღმერთის კელია ყველასათვის ერთადერთია,

სადაც ღვთის ნებით ცოდვა-მადლი ერთად წერია,

ამ კელიაში კრძალვით ცრემლი რომ მომერია,

ღმერთო ძლიერო, შემიწყალე, გზა ამერია.

სულის ცდუნება

სულის ნაწილი მიწაზე მტოვებს,

ნაწილს ზეცისკენ უჭირავს თვალი,

ვერ გავექეცი ბოღმებს და მსტოვრებს

და უკვდავების ვერ ვპოვე წყალი.

ცოდვებთან ისევ წილნაყარია

დამძიმებული ყოფა-ცხოვრება,

ბედნიერება ვერ ამიგია,

ვეღარც სიკვდილი გახდა ცხონება...

გაორებულა კაცთა ბუნება,

და ბორიალებს ცოდვა-მადლს შორის,

რა მარტივია სულის ცდუნება,

თუ სინანული გულით არ მოდის.128 129

სულო, ამოდი

სულო, ამოდი გვამიდან,

გვამი დამპალა, გახრწნილა,

სიკვდილი მოგიახლოვდა

და სხეულს სული გასცილდა.

თუ ეზიარე ბნელ ფრესკებს,

მიწას ჩარჩები _ არ გინდა,

ანგელოზები გალობენ,

უფალი გიხმობს მთაწმინდას...

ზეცას ამშვენებს სამოთხე,

მარადისობის მარადი,

ცოდვის მორევი დატოვე,

ვიდრე გაგაქრობს, მანამდის.

სულო გამოდი გვამიდან,

რადგან გამძიმებს ლოდები,

სიკვდილს ნუ ელი, რად გინდა! _

უფალო გადამარჩინე

დავმძიმდი, ღმერთო, დავმძიმდი,

ცოდვა-მადლს შორის ვბარბაცებ,

მე ვინ დამნიშნა მსაჯულად,

გულო, გონს ნუღარ წარმტაცებ!

რად მელაღები, სიცოცხლევ,

დღითიდღე ცოდვებს თუ ვჩადი,

თავისუფლებავ, მიძღოდე,

რწმენად, როდესაც მზეც ჩადის!

მამაო, ჯვარი დამსახე,

ქრისტეს მაახლე ზიარი,

ცრემლები სულსაც მისველებს,

მებრძვის სატანა, ტიალი!

დავმძიმდი, ღმერთო, დავმძიმდი,

მიწა მიმათრევს მამრისო,

სიყვარულს ცოდვად ვინც მითვლის,

სატანა მასში არისო.

ზეცას გაისმის გალობა,

ანგელოზთ გუნდი მამშვიდებს,

ლოცვებად გამაძლირე,

უფალო, გადამარჩინე!130 131

ქრისტე აღდგა

დაითრგუნა სიკვდილითა სიკვდილი,

ხარობს მიწა წილნაყარი ზეცასთან,

ჩამორეცხა ტანჯვით ღმერთმა სირცხვილი,

ჩამორეცხა ადამთან და ევასთან.

დღეს სიცოცხლე დაიბადა უთქმელი,

დღეს გოლგოთა მოიფინა იებით,

ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღსდგა, უფალი,
ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად, დიდებით!
დღეს დაიმსხვრა ჯოჯოხეთის კარიბჭე,
და გაიღო აღსავალის კარები,
შენ იყავი ყველგან, ღმერთო, ჩვენი მწე,
მადლობა, რომ აგვიხილე თვალები!
ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღსდგა, უფალი,
და განათდა საუკუნოდ უკუნი,
ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად _ უთხარით,
ანგელოზთა დასის ისმის გუგუნი!

ქრისტეშობა

ვარსკლავთა გუნდი ზარების რეკვით,
ახალ სიცოცხლეს კვლავაც გვთავაზობს,
ქრისტე იშვა და სამყარო როკვით,
ტაძრისკენ სავალ ბილიკს განაგრძობს.
ჩამდგარი რიგში ერი და ბერი,
უკვდავებისკენ მიემართება,

სიცოცხლის წყურვილს ათასი, ბევრი,

ესწრაფის ქრისტეს და ზიარებას.

სიცოცხლის არსი და უკვდავება,

იშვა უბრალოდ და თავმდაბლობით,

ღმერთო, მოგვმადლე გონი და ნება,

ვქმნათ სიკეთენი შენი წყალობით!

07.01.20 132 133

ჯვრისწერა

გვირგვინს იდგამ _ ცა გაიხსნა გულღიად,

დიადემა მოგვიხატა სხივებით,

ღმერთს მიენდე, ანგელოთა შუქია,

შენ რომ გამკობს, ასე რომ იხიბლები!

ბედი წყდება, ფიქრდებიან ფიქრები,

გზებზე ჩნდება უამრავი იარა,

ახლა სად ხარ, მერე საით იქნები,

დრომ სასტიკმა თუ კი გადაგიარა.

გვირგვინს იდგამ, ღვინო თავად დაისხი,

დროა შესვა სიყვარულის ფიალა,

ცაზე შეკრთა ვარსკვლავური დაისი

და წარსულმაც სადღაც გაიფრიალა.

ნუ დაითვლით

რიცხვებს ვითვლი თარიღიდან თარიღამდე,

ჩართულია დრო სიცოცხლის, თან _ ძვირფასი,

რაღას ველი? მაინც უნდა დამიღამდეს,

ან ვის ერგო უკვდავებით სავსე თასი?!

რატომ ვითვლი დღეს წუთებით და წამებით,

აქ ხომ ჯერაც სიცოცხლეა ... ვერც კი ვხვდები...

გავიწამე ძებნა _ ძებნით და წამებით,

დრო, რომელიც ძვირფასია მზის შეხებით.

ნუ დაითვლით დროს რაღაცა თარიღებით,

ნუ დაითვლით ძვირფას წუთებს გასალევად,

მზე ამოდის, ბოროტებით ნუ ვიღლებით

და მივენდოთ უფალს სულის დასახსნელად!134 135

ძნელია

ძნელია დროში ყოფნა ეულად,
სიმარტოვის და სიცივის განცდით,
წვიმის წვეთები რიტმში ჩვეულად,
ჩამჩურჩულებენ... სამყაროს გავცდი.
ძნელია ზღვაში ჭიდილი ტალღის,
უდაბურ ტყეში ბილიკის პოვნა,
თაკარა მზის ქვეშ წყურვილი დაგღლის,
და ამაოა წვეთი წყლის თხოვნა.
ძნელია, მტერში ეძებდე მოყვასს,
მოყვასი ხშირად გქცევია მტრადაც,
როცა სიცოცხლეს სიკვდილი მოჰყავს,
სიკვდილსაც აქვე სამარე მზად აქვს.
ძნელია ყოფნა ეულად, მარტო,
ან უნაყოფო სიცოცხლის მარცვლად,
ცრემლი გდიოდეს, თუ ცოდვას არ თმობ,
დუმილს მიიღებ შენდობის ნაცვლად.
მშვენებად შერჩე მიწას, ძნელია.
აენთო გრძნობად როგორც ლამპარი,

იქ გიხარია, სადაც გელიან,

სადაც ვერ გთრგუნავს ცივი ზამთარი.

აქა ვარ

აქა ვარ, მთისა ქალი ვარ,

ღმერთის და ბედის გზის მგზავრი,

დღისით ბუნების მადლი ვარ,

ღამე _ ლექსების სიზმარი.

გულს სიყვარული ათრთოლებს,

ლექს-მარგალიტით მდიდარი,

მთასავით მიუწვდომელი,

ვით გაზაფხულზე მზე-დარი.

აქა ვარ, თქვენი ჯიშის ვარ,

მთის წყაროდ გადმომდინარი,

დეკიან-ჭიუხიანი,

ლექს-მარგალიტით მდიდარი!136 137

გავიხსენებ

გავიხსენებ იმ სტრიქონებს,
ჩამალული სადაც მყავხარ,
თოვლის ფიფქი ჩამჩურჩულებს,
დაუჯერე _ მას უყვარხარ!
წარსულს, აწმყოს და მომავალს,
ვაიგივებ... ახლა სად ხარ?
დავრჩი მე შენს მონატრებად,
შენი გულის ძახილად ვარ!
გავიხსენებ იმ წუთებს და,
გავიხსენებ დარს მთის წვერზე,
სადაც მხოლოდ მე და შენ ვართ,
სადაც ლექსი დაგიწერე.
თოვლის ფიფქი თეთრი ფერით,
ღაწვებს ცრემლით დამისველებს...
მიწას როდის მოვცილდები,
ზეცად როდის დავისვენებ!

ვიპრანჭები _ გაზაფხულდა

ვიპრანჭები, გაზაფხული მოახლოვდა,

მარტის თვეა, აფეთქდება კვირტი ნუშის,

გაიშლება ათასფერად ჭრელი კაბა,

კაბასავით იშრიალებს გრძნობაც გულში.

ქალი კი ვარ, ქათინაურს გავურბივარ,

გაზაფხულმა აადუღა სისხლი ძარღვში,

ყალბი სიტყვა სულ არ მხიბლავს, ასეთი ვარ,

გაზაფხულად ვერ ვივარგებ უცხო ბაღში.

მერე რა რომ მარტის თვეა, სიგიჟეა,

სამყაროც კი აირია, ვერა ხედავ?

სიყვარული განა ასე ადვილია,

სიყვარულის მეშინია და ვერ ვბედავ.

ვნება კვირტად იბერება, აფეთქდება,

აფეთქდება მარტის თვიდან გაზაფხულიც,

ქათინაურს ვუფრთხი, ამ გულს არ ედება,

ვერ დავრჩები ეჭვის გრძნობით დაღდასმული!

ვიპრანჭები! გაზაფხულდა! მარტის თვეა!

ჭირვეულობს მზე წვიმასთან, როგორც ქალი,

გულს ხალისი შეპარვია, თბილი დღეა

და მზის სხივებს ეპარება ჩემკენ თვალი.138 139

ნაცნობი მშვენიერება

მინდოდა მეთქვა,

შევიგრძენი მშვენება შენი,

მაგრამ,

სიტყვები უძლურია

განცდილ გრძნობებთან,

დავიმალები,

და მშვენება გამამხელს ჩემი,

ჩუმად,

სამყაროს ისევ სძინავს დაყრილ ფოთლებთან.

აღარც ზღვა ღელავს,

აღარც ტბაზე ხმაურობს გედი,

მთაც გაყურსულა,

მხოლოდ ნიავს მოაქვს სურნელი,

ვზივარ და მატკბობს,

მშვენიერი ნაცნობი ხედი,

ვზივარ და ვფიქრობ,

დრო დავთვალო,

ჩქარი, თან ნელი.

ნინო უძილაური

ნოსტალგია

ბრძოლა მიხდება აწმყოსთან,

წარსული სინდისს მიღვიძებს,

მამა-პაპათა სულები,

ისევ ბრძოლისკენ მიბიძგებს.

მივტირი გარდასულ დღეებს,

აწმყოს წარსულით ვიწონებ,

რომ მოვაღწიე აქამდე,

და რომ ქართველი მიწოდეს.

დასაცავია მამული,

დასაცავია ღირსება,

ჩვენი სინდისი და გული,

ისევ წვეთ _ წვეთად ივსება.

სამშობლო უპირატესად

და უმთავრესად ითვლება,

ღმერთო მიკურთხე მარჯვენა,

მიწა გოჯებად იცლება.

შემომაშველე სინდისი,

შემომაშველე ღირსება,

ვიდრე გონება და სული,

გროშებად გაიყიდება.

ნუ გამითენებ იმ დილას,

სხვა საზრუნავით ვტკბებოდე,

მამა-პაპათა სულებთან,

სირცხვილისაგან ვკვდებოდე!140 141

ეპოქის ტკივილი

მუხანათურად მოკლეს ილია,

მუხანათურად მოკლეს ზვიადი,

ჰოი, ეპოქის რა ტკივილია _

ერი კნინდება _ ერთ დროს, დიადი!

სამშობლოსათვის დაღვრილი სისხლი,

ცხრა აპრილსა თუ სოხუმს და ცხინვალს,

ჩვენი დროების ტკივილად ითქმის,

თავისუფლებაც ტკივილად იქცა!

დავდივარ როგორც თავთავი მძიმე,

და სირცხვილისგან მეწვის ეს გული,

იქნებ მშველელი გამოჩნდეს ვინმე,
გახლეჩილ ფესვებს შორიდან ვუვლი.
ქართული მიწა დაქანცულია
ღალატით, ცრემლით, სისხლით, სირცხვილით,
იმედი გაქრა, გაქრა სრულიად,
თავისუფლების დროში სიკვდილით.

ისევ მტკივა

ისევ მტკივა შიდა ქართლზე ფიქრი,
ისევ მტკივა აფხაზეთზე სევდა,
იმედიც რა უსასრულოდ მიდის,
დარდი როდის დასრულდება ნეტავ?
ჩემი გული დაფლეთილი რჩება,
სული კვლავაც მდუმარებით ტირის,
სიცოცხლეში ასე რატომ ხდება,
სიხარული რომ ვერ ჯობნის ტკივილს?
გულის ხმას თუ გაიგონებ, ღმერთო,
ჩემს სამშობლოს შემოასხი ფრთები,
საფიცარ ხატს მტერი ისევ ვერ თმობს,
ღმერთო, სახლში დამიბრუნე ძმები!142 143

მარად სამშობლო გვტკიოდეს

მიწის ყივილი ძარღვებში

სისხლის მდინარედ გვდიოდეს,

სამშობლო ჩვენი ხატია,

სამშობლო უნდა გვშიოდეს...

წინაპართ ძვლები საფიცრად,

ლოცვებად გადმოგვდიოდეს,

ბედი, იღბალი გამჩენის,

ზეციდან მიწას ცვიოდეს!

ვისი გორისაც დავდივართ,

სულში სინდისად ღვიოდეს,

ადათ-წესების ალავერდს,

შვილებთან გადავდიოდეთ!

არ დავივიწყოთ წარსული,

საიდან სად მოვდიოდეთ,

სიტყვად ნათქვამი „სამშობლო“,

გულიდან ამოგვდიოდეს..

ერთურთს ალალად ვუმზიროთ,

სიკეთე გულში ღვიოდეს,

ნუ დავიღლებით ლოცვებით,
უფლისგან მადლი გვდიოდეს.
მიწის ყივილი ძარღვებში
სისხლის მდინარედ გვდიოდეს,
ღმერთად სამშობლო ვიცნოთ და
მარად სამშობლო გვტკიოდეს!

სევდა „საზღვრებთან“

სხეულს მისერავს მავთულხლართები,
სისხლის წვეთებით მორწყული მიწის,
ჩვენი ფესვებით, გადახლართულით,
მემატიანე გლოვობს და ტირის.
სევდა საზღვრებთან დაბუდებული,
მოუშუშებელ ტკივილებს ითმენს.
სახლში წამებით დაბრუნებული,
ძმა ძმისთვის ვეღარ პოულობს იმედს!
ღმერთო, მომეცი ძალა და გონი,
საშვილიშვილო ვაკეთო საქმე,
გავქრი, გავქვავდი, გავთავდი მგონი _

ჩემი სამშობლო მიპოვეთ სადმე!144 145

ჩემი ქვეყანა

ჩემო სამშობლოვ, გაიღიმილე! _

უკვე დაზრდილან ალგეთს ლეკვები!

გეყო, რაც გული გგლიჯეს, გიჯიჯგნეს,

ლამაზ თვალთაგან ღვარეს ცრემლები!

სიცოცხლეს კვლავაც შემოგწირავენ,

შენი შობილი დიდი გმირები,

გულში კვლავ ლახვარს ვერ ჩაგარჭობენ,

ფარისეველი, ვითომ შვილები!

აკაკის ჩანგი ერთად ავაწყოთ, _

ენა! მამული! სარწმუნოება!

მტერი მტერია, ვერას გააწყობს,

თუ აღვადგინეთ ძველი ერთობა!

ცხრა აპრილი

ცხრა აპრილი, სისხლი ძარღვში გაიყინა,

და სიკვდილმა მოინდომა აქ თარეში,

კიდევ ერთი თავგანწირვა გაიწირა,

კიდევ ერთხელ მზე ჩაგვიქრეს ამ თვალებში.

შეწირულთა გული მიწას უსალბუნებს,

და წვეთ-წვეთად უმანკოთა სისხლით ნამავს,

ზეციური საქართველო დღეს დამუნჯდა,

ზეციური საქართველო ცრემლებს ყლაპავს...

მარადიულ სასუფევლის კარს აღებენ,

მუდამ ჯავრად კვლავ სამშობლო დარჩენიათ,

ღმერთს მხურვალედ საქართველოს ავედრებენ,

დაჩეხილ გულს მტრის ნიჩბები ამჩნევია!

ცხრა აპრილი _ სიამაყის და ტკივილის,

ერთობის და თავგანწირვის თარიღია,

მიწიერი საქართველოს სისხლი ყივის,

ზეცის კარიც ამ ყივილით გაგვიღია!

09.04.2019

აბდა-უბდა

ვწერე აბდა, ვწერე უბდა,

რადგან ბოროტება დუღდა,

რადგან სიკეთე რომ დუმდა,

სამყარო სულ გადადუღდა!

ლექსიც აღარავის უნდა,

აღარც მეგობრობა სურთ და,

სიყვარული, ხომ, საერთოდ,

ერთი ორს თუ აუსრულდა!

დახშულია ირგვლივ სივრცე,

სუნთქვას ჰაერიც ხომ უნდა,

ჰოდა, თავს უფლებას მივცემ,

ვწერო აბდა, ვწერო უბდა!

ანიტას

ეგ სიცოცხლე ნება ღვთისა,

ზეცაზეა მიბმული,

გაიღიმე, გოგოვ მზისა,

ღმერთს მივანდეთ ეგ გული!

დაამშევენე ეს სამყარო

და შეკარი ერთ მუშტად,

იცინე და იკისკისე,

რად გვიყურებ, დღეს, კუშტად?

ეგ ბრიალა თვალები და

სიყვარულით ტიტინი,

ჩვენს გულებს აქ ახალისებს,

გვიყვარს, როცა იცინი!148 149

დე-გულნაზ ხარაიშვილს

ვეხუტები დედის თბილს გულს,

ალალ-მართალს და დარდიანს,

მისი სითბო კვლავ და კვლავ მსურს,

მისი კოცნა კვლავ მწადია.

სითბო სიტყვად მონადენი,

ავსებს გულის ნაიარევს,

ამ თვალებში ცრემლი ჩადგა,

თვალწინ წლებმა გაიარეს.

უძლურია თითქოს სიტყვაც,

გრძნობა სრულად გამოვხატო,

მუზავ, ლექსად უნდა ითქვას,

დედა ფრესკად როგორ ვხატო.

ვინ ვის

ვისი აზრები ვის ფიქრებს ერთვის,

ვინ ვის აშიშვლებს აზრსა და გონში,

ხილული მხოლოდ ის არის ჩვენთვის,

რაც უმალ მოჩანს თვალსა და დროში.

ვინ ვის კერიას სად ასხივოსნებს,

და ვის უმღერის ნანას, მზეშინას,

ვინ ვის უწოდებს პოეტებს, მგოსნებს,

ან ვის უნათებს თბილი მზე შინაც.

ვის გულს ვინ როგორ მიეთბილება,

ან სიყვარულით ვინ და ვის აავსებს,

სიცოცხლე ვისი, რისი ნებაა,

შენ იმას ეტრფი... ის კი, ვის აქებს?150 151

ტკივილი გულისა

უგულომ რა იცის ტკივილი გულისა,

ტკივილი განცდაა ღრმა სიყვარულისა,

ტკივილი ხვედრია რჩეულთა სულისა,

და ნიჭი _ სიკეთის და სიბრალულისა...

გულია სიმდიდრე, ხსნა კაცთა ცოდვილთა,

დარდის და ვარამის დამტევი სოფლისა,

უგულოდ ყოფნაა სიშიშვლე გონისა,

გულია სიკეთედ გარდაქმნა ცოდვისა.

უგულომ რა იცის ტკივილი გულისა,

ტკივილი მისია, ვისაც სწამს რჯულისა,

ვისაც ეს ცხოვრება სიკეთით უღირს და

აწუხებს ტკივილი სხვა დაჩაგრულისა!

ქართულ-ებრაული მეგობრობა

(ეძღვნება პაატა იოსებაშვილს)

ნიჭი გადმოდინდა სიყვარულის,

სიკეთე საზღვრებს გადასცილდა,

მეგობარს გიწოდებთ და ისიც იცი,

როგორ გვიმეგობრო, ან რა გვინდა.

ნიჭი სიყვარულის მადლად დაგდევს,

გული სასიკეთოდ გაგიღია,

ერთი სამშობლოდან მეორეში,

ხიდი უკვდავების გაგიდია!

გულში სანთლად ანთებ ჩვენს დიდ ძმობას,

გინდა გამოძერწო მარადისი,

ქართულ ებრაული მეგობრობა,

ქართველ ებრაელმა მარად იცი!152 153

მიფრინავს წლები

მიფრინავს წლები ტიალი,

ამტყდარა ფიქრთა წრიალი,

დრო თმებზე შემომფენია,

დრო ჩემი თმების ფერია.

იცვლება თვალთა სიტურფე,

იცვლება ჟამი სიტურფის,

რა ვქნა თუ ვეღარ გიტურფე,

რა ვქნა მონა ვარ თვით უფლის.

მოდი ნუ გამკიცხავ

ლექსი ისე არის, როგორც სულის სარკე,

სიტყვებს მარგალიტად თუკი გადაკინძავ,

და თუ წაიკითხავ, იქნებ შემიბრალო,

იქნებ მომეფერო, მოდი, ნუ გამკიცხავ.

თუკი სულის სარკეს გრძნობით შეეხები,

თუ მტვერს რუდუნებით ფრთხილად გადაწმენდავ,

მაშინ გამოჩნდება ჩემი სილუეტი,

მაშინ დამინახავ, როცა არ გამკიცხავ.154 155

ნუ გამაღვიძებ

ნუ გამაღვიძებ, მეძინოს,

ცხადი სიზმარზე ძნელია,

ველარ გავუძლებ ვერც ღვინოს,

სათქმელიც გამომელია.

ამ წუთისოფელს სიზმარი,

იქნებ ათასჯერ მერჩიოს,

რეკავს, ხმაურობს ის ზარი,

რატომ ავი კარგს ერჩისო!

ნუ გამაღვიძებ, მეძინოს,

სიზმარში სიზმარს ვინახავ,

ბარძიმისათვის მე ღვინოს,

პეშვითაც გადავინახავ.

რატომ გგონია

რატომ გგონია მჭირდება რამე
მტვერდადებული შენი სკივრიდან,
ცხოვრება მჩუქნის დღესა და ღამეს
და ჩემი ლოცვაც მადლს მფენს დილიდან.
არ მინდა, წამი სულს მიხუთავდეს,
მხიბლავდეს ხიბლი _ ის რაც სხვისია,
წარსულიც მალე მიხურავს ამ დღეს,
აწმყო მომავლის დასაწყისია!
ჩემი კი არა, შენი გიყვარდეს,
გავსებდეს ვისიც გერგო მისია,
უფალს სიმშვიდით მასთან მივყავდეთ,
და ჩვენად არ ვთქვათ ის, რაც სხვისია.
შენი კი არა, ჩემიც უხვად მაქვს,
რითაც ვტკბები ან რითაც ვმწარდები..
მგონია, მოცლილ სისუსტეს დააქვს,
ეკლებით სავსე ტურფა ვარდები.

სულაც არ მხიბლავს შენი სამოთხე,

ჩემი ბაღნარი სრულიად მავსებს _

და მერე, კარგო, ისე არ მოხდეს,

სცლიდე ეჭვებით ავსებულ თასებს!156 157

ფიქრთა ზრახვა

ალბათ, ამ ღამეს ვერ გავათენებ,

ვბორგავ და გული მევსება დარდით,

ისევ ვინატრებ თოვლს და ფანტელებს,

დედამიწაზე მოვსულვარ გავლით.

ვხედავ მაშინებს სიბნელე ცათა,

როგორც უსულო სტრიქონი ლექსში,

სულში მიღვივის სილაღე მთათა

და სიყვარულიც ვიწამე ღმერთში.

ალბათ, ამ ღამეს თუ გავათენებ,

გარიჟრაჟს სხივთა ტრფიალს თუ ვნახავ,

ალიონს ლექსად ავაბრიალებ,

ღამის ზმანებას და ფიქრთა ზრახვას.

ცდებით, ბატონო

ქალებს სიყვარული აწვალებთო,

დიახ... არა ცდებით ბატონო.

სევდა ჩადგომიათ ამ თვალებსო,

არც ეგ გეჩვენებათ... ბატონო.

ქალებს სიყვარული გვამოძრავებს,

საზრდოც სიყვარულით გვეძლევა,

რომ არ ყოფილიყო სილამაზე,

ღმერთი ამას როგორ შეძლებდა.

ქალის დედოფლობა ნუ გაკვირვებთ,

როცა მეფის გვირგვინს ისწორებთ,

სადაც მხოლოდ გვირგვინს აღიარებთ,

სცდებით... მწარედ სცდებით, იქ სწორედ.

ქალებს ერთგულება არ უნდათო,

ხშირად იმეორებთ უნივთოდ,

ამით რა გსურთ, ანდა რის თქმა გსურდათ,

ქალიც პასუხს გაგცემთ უსიტყვოდ.

მხოლოდ სიყვარულად ანთებული

ისევ სიყვარულად ფერფლილი,

გრძნობა თქვენც რომ ასე გალამაზებთ,

ეგეც ქალს ეკუთვნის, ზეფრთხილი.

მისი სუსტი მხრებით ის ძლიერი,

კაცის დასაყრდენი ბოძია,

სიტყვით არ დატოვო არც მშიერი,

სიტყვით თვალებიც კი გკოცნიან.

ქალებს სიყვარული ასწავლეთო...

აქაც ძლიერ ცდებით ბატონო,

ქალის სიყვარული თქვენ ისწავლეთ,

იქნებ ბატონობა აწონოთ...158 159

ერთ დროს

ერთ დროს ნაბიჯ-ნაბიჯ მოვდიოდი,

ახლა ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივარ,

ერთ დროს სიყვარულად ზედ გდიოდი,

ახლა სიყვარულის რიდი მაქვს.

წარსულს მომავალი გაუწყრება,

ბილიკს გადაკეტავს გზებიდან,

ალბათ გავიზარდე, სიმიც წყდება,

ღელავს დაბნეული თემიდა.

ახლა, ბილიკ-ბილიკ დაგშორდები,
ერთად მგონი არსად გველიან,
მზერას იტაცებენ ლაღი მთები,
მთებში მარტოობაც ძნელია.

რა მინდა

სულაც არ მინდა, ვგრძნობდე წინასწარ,
ვინ, რას, სადამდე მატკენს, ან მომკლავს,
არ მინდა შესვლა სახლში იმასთან,
ვისაც ვარდებში ეკალი მოჰყავს.
არც გზები მინდა ლაბირინთებში,
დროის დაკარგვა უქმად და ამოდ,
უსაგნოდ ყოფნა, ყოფნა მითებში,
სამყარო როცა სხვა სიტყვას ამბობს.
არ მინდა, დროს და სივრცეს გავასწრო,
ანდა ღრუბლებში ვეძებდე ფერებს
და გული დამწყდეს როცა გავა დრო,
უმადურები მაწმენდნენ ხელებს.
ისიც არ მინდა, დავთმო სიცოცხლე,

ანდა რამე თქვან სიკვდილის მერე _

მე მინდა მუზად, ლექსად ვიწვოდე,

რომ თავად გამცნოთ რა რატომ ვწერე!160 161

დღეს ნუ დამიშლით

დღეს ნუ დამიშლით ვნებიან კოცნას,

მთელი სიცოცხლე ველოდი რასაც,

თეთრი ღრუბლები ცეკვავენ როცა,

ფერი ეცვლება მიწას და ცასაც.

ბედნიერება იფრქვევა ჰანგად,

ბახუსი სიტყვის თქმასაც აპირებს,

ახლა მინდა რომ გადავთვრე მაგრად

და მივეხეთქო ტრფობის ნაპირებს.

დღეს ნუ დამიშლით ვნებიან კოცნას,

სიცოცხლე მიქრის, მუქდება დარიც,

ნუ მაიძულებთ აქ დიდხანს მოცდას,

ვაკოცებ....მერე ვიცოცხლებ მკვდარიც.

მე, ფშავლის ქალი

კელაპტრით ხელში,

მე, ფშავლის ქალი,

მარად მლოცველი მზისა და მთვარის,

ისე, ვითარცა კლდეები სალი,

ვდგავარ არაგვთან, სიცოცხლით მთვრალი.

თავს დამტრიალებს აჩრდილი ვაჟას,

ამღერებული ვარსკვლავთა ქნარით

და შევციცინებ სამშობლოს ლაჟვარდს,

ჩემთვის სალოცავ მთითა და ბარით.

ვარ ბედნიერი...

თავს ვარსკვლავს ვადრი,

ვერ შემაშინებს ყრანტალი ყვავის!

რადგან ბუნების და უფლის მადლით,

ირგვლივ სიცოცხლე მეფობს და ჰყვავის!

იქნებ

იქნებ წვიმით მითხრა რამე,

ანდა სიოდ მომებერო,

დამწვა მზისა მწველ სხივებით,

ან ფიფქებით დამაბერო.

ნაკადულად მომიმღერო,

მანებივრო მთის ნისლებზე,

გამიშალო ოქროს ტახტი,

მათამაშო მზის სხივებზე.

შემომასხა იის ფარჩა,
თმებს გვირილა ჩამიბნიო
და სისხლისფერ ყაყაჩოსგან,
გული წითლად ამიმღვრიო.

მერცხლის ბუდე ამიშენო,
სრასასახლე, ფერადგული,
რომ სიყვარულს დავასიზმრო,
მორთმეული თაიგული.

მასკარადია

მასკარადია...
სცენა ვეღარ იტევს კაცუნებს...
და შემზარავი ხმების ფონზე,

იწვის აზრი და

ცეცხლში ძველი ფარსი ტკაცუნებს...

ეგებ მოითბოს ხელისგული

მავანთ მავანმა,

რადგან სთავაზობს მსახიობებს,

ცოდვის საცდურებს...

და ეს უნიჭო მასკარადიც

ილევა დროში....

ალბათ მარტო დგას რეჟისორი,

უტარო დროშით...

მსახიობებს კი,

არ უყრიათ ჯიბეში გროში...

კუდის ქიცინით,

მასკარადი,

რატომ სურთ მავანთ,

გადაზარდონ უაზრო ომში?!

ვერ მოგიშუშებ

უსახურ ფიქრთა მზარავს შეგრძნება,
დავიარები უსულო მცნებად,
სიცოცხლეს ძალა აღარ ექნება,
აღარც ქარები იქროლებს ვნებად.

დაცარიელდა სავსე ბეღელი
და გადაივსო გოდების სათლი...
ველარ და აღარ მომაგონდები,
როცა სიკვდილი შენს სახელს გათლის.

უკოცნელ სხივთა დამწვავს წადილი,
ვერშეცნობილი სიკეთის მზერა,
საიდან ვიცნო შენი ძახილი,
ვერ მოგიშუშებ...ვერა და ვერა.

სიყვარული ერთია და

სიყვარული ერთია და
მარად უნდა ერთი იყოს...
არ იყოფა, არ მრავლდება,
ის ღმერთია შენი თითქოს...

შვილის, დედის, მამის, და-ძმის,
მეგობრების და მოყვრების,
სამშობლოს და შენს მამულში,
გაჩენილი იმ ბოკვრების.

ვისი სულიც გალამაზებს,
ვისი სუნთქვაც ხარობს შენში,
ის გარგუნა ბედისწერამ
და აგანთო მარად მზეში.

არ ქრება და არ ბერდება,
გრძნობა ასე დიდებული,
სიყვარულად თუ თენდება,
უკვდავია მარად სული.

ღამე სარკმელთან

ღამე სარკმელს მოეხეთქა,
სული გამიბზარა დარდმა,
მთვარემ ქსოვა ცაზე თექა,
ჟამი გადაშალა წამმა.

ვიტირებდი, რომ არ მყავდე,
რომ არ გიგულებდე გაღმა,
ბედი მძიმედ დამატარებს,
გეძებ ყველგან...აღმა-დაღმა.

სევდა მასწავლე

სევდა მასწავლე,
გამიხადე სულის მეგზურად,
ნაპირებიდან ზღვის ტალღები ფსკერხე მიმათრევს,

თითქოს ბუდიდან ამოვარდნილს ვგავარ ბეღურას,

უსუსურად რომ დაწივის და

ვერ შლის დამფრთხალ ფრთებს.

სევდა მასწავლე,

დადუმება სიცოცხლის ეტლში,

დასაფლავება გრძნობების და გულის ძახილის,

გამოქვაბულთან,

ამორძალთა დანთებულ ცეცხლში,

მსურს გავატარო დამძიმებულ ფიქრთა მარხილი.

მე ისევ გეტრფი

მე ისევ გეტრფი,

ჩემთვის,

უბრალოდ,

რადგან შენა ხარ სულ სხვა სამყარო…

და გევედრები ცაში უფალო,

ამ დიდ სიყვარულს,

აღარ გამყარო…

ეს სიყვარული

ჩემთვის ხსნა არის,

რადგანაც იგი თვითონ მოვიდა

და ყოველ დილით,

ვითა საარი,

მესმოდეს ეს ხმა…

თუნდაც შორიდან.

მარტოობა

მარტოობა,

ფიქრთა განსჯის არენა,

ნაბიჯების დათვლის სწორი ხერხია,

მარტოობა... სულთან განმარტოება

და მსაჯულიც აქვე, ჩემი ღმერთია.

მე და ღმერთი,
ამ დროს წრფელად ვჩურჩულებთ,
მე და ღმერთი... სიყვარული დიდია...
ეს სამყაროც, უსასრულო და მშვიდი,
ამ ჩურჩულით კიდევ უფრო მშვიდია.

მიწა, სიო,
ცა ნათელი ფერებით,
მე და ღამე ერთურთს მივეფერებით,
დილით ისევ გავაღვიძებ ალიონს,
მზეც მომწვდება უსასრულო ხელებით.

მარტოობა...
უფრო პირობითია,
ამ სამყაროს შემოქმედთან პირისპირ,
ფიქრს იკავებს სიყვარულის სტრიქონი
და ფიქრებმაც შემომხედეს პირიქით.

როგორც ამბორი

ჩემს ნატერფალზე თუ გაივლით…

სრულად მიხვდებით,

რომ სიყვარულში დავიფერფლე,

როგორც ამბორი…

რომ ვნებას ისე ვერ ჩააქრობს ციდან წვეთები,

როგორც სანთელი, მოღვენთილი ტრფობის ამბობით.

ისტორიაა დაწერილი სიყვარულისთვის,

თვით სიყვარულმა გამოძერწა ჩემი სახება…

გრძნობა დამშრალი,

დაფერფლილი სიცოცხლისათვის,

ამ ნატერფალზე

ნაკვალევად აისახება.

ცად ლოდინი

რა საჭიროა

ხმამაღლა ვთქვა გულის ძახილი,

ერთადერთი ხარ, უხილავო,

უსიტყვოდ მთქმელი,

შენზე ვლოცულობ...

ქვეყნად თვალი რაც გავახილე,

და წყალობასაც აწ შენგან ველი.

შემომციცინებს,

ძირს დაყრილი ფოთოლთა ჯარი,

რომელიც მალე იქცევა ბორცვად...

მათი სული კი,

სამოთხის კარით,

ცად ამაღლდება,

ღვთისადმი ლოცვად.

ორი ვაჟა

(ეძღვნება პოეტ ვაჟა ეგრისელს)

მთაში ვაჟამ დაიქუხა,

ექომ ბარში,

ვაჟას გული გაიარა

და შეაკრთო ნორჩი მუხა,

დაუტოვა მზე - იარად.

მერე...

სიყვარული სცადეს,

გადაფანტეს

საქართველოს მთებს ნისლები

და ... ავიდა სული ცამდე,

ფშაველას და ეგრისელის.

* * *

გატეხილ ჭიქას ვუცქერ დაღლილი,
დარდი მოწვეთავს ნაპრალებს შორის,
შენი დაკარგვა არის ადვილი,
როცა ბოროტი სიკეთეს წონის.
ვით ცისარტყელა, ვქრები თანდათან,
ჭიქიდან ახლაც იღვრება სევდა,
ისევ ვინატრებ ყანას თავთავთა
და მელოდიას სულ თან რომ მდევდა.

ჯვრისწერა

გვირგვინს იდგამ, ცა გაიხსნა მზისფერი,
დიადემა ზეცამ სხივით მოხატა,

ღმერთს მიენდე, ანგელოზი ზის შენი
და ლოცვებით გზას გინათებს მის ხატად.

ბედი წყდება, ფიქრდებიან ფიქრები,
გზებზე ჩნდება უამრავი იარა,
ახლა სად ხარ, მერე საით იქნები,
დრომ სასტიკმა თუ კი გადაგიარა.

გვირგვინს იდგამ, აელვარდა აისი,
დროა შესვა სიყვარულის ფიალა,
ცაზე შეკრთა ვარსკვლავური დაისი
და წარსულმაც სადღაც გაიფრიალა.

მარცვალნაგლეჯს

მარცვალ-მარცვალ ამოგლეჯილ სტრიქონებს,
წარსულს ვატან...მაგრამ მაინც გიგონებ,

შეცდომაც და სიყვარულიც შენ გერქვა,

წლებმაც ის თქვეს, რაც გინდოდა შენ გეთქვა,

რომ სიყვარულს დრო ვერ წაშლის ვერასდროს,

თუმც ცხოვრებამ ვერ გაუძლო ვერც ამ დროს,

აზრი წვდება რეალობის სიღრმეებს,

რეალობაც სიზმარივით იმღერებს,

ნაგლეჯ-ნაგლეჯ მივაწებებ სტრიქონებს,

იქ ვჩერდები, სადაც დრო შენ გიგონებს...

ნინო უძილაური

სარჩევი

იგი პოეტად დაიბადა.....3

`სიყვარულის პოეტი~.....4

იალქანი.....7

მ ა რ ა დ ი ს ი.....9

მარადისში.....10

გამორჩეული.....11

მე შენით ვსუნთქავ.....12

მე შენში მიყვარს სიყვარული მარადიული.....13

მე, შენ, ის 14

არ მსურს 15

დაგელოდები.....16

დავაღალატე თავად ღალატი.....17

რა საჭიროა ფარისევლობა.....18

სიგიჟის სიბრძნე.....19

მოგონებებში დავრჩები.....20

ფიქრის გორაზე.....21

სულისმიერი ჰანგები.....22

ზღვასიყვარულად 23

„თუ გინდა“.....24

მონატრების ბორკილები.....25

გადაგიყვარებ.....26

გელოდები.....27

დამესიზმრე.....28

დროს დავითვლი.....29

ეს ერთი ღამე.....30

ვერ შეგელიე.....31

ისევ მეფიქრება 32

მაწუხებს და მტკივა.....33

მგონი ისევ.....34

მე ვეამბორე.....35

მომწყურდი.....36

მხოლოდ ერთხელ.....37

სიყვარულია სიცოცხლეც და თავისუფლებაც.....38

სიყვარულს კარი გაუღია.....39

სულ სხვა.....40

უკვდავების მოლოდინი.....41

უკვე შენი მქვია.....42

უშენოდ.....43

ფრაგმენტი.....44

შეგხვდები.....45

შემეყარე.....46

ახლა ვიგრძენი სამყარო ჩემში.....47

ბედნიერი წუთები.....48

გემის ბაქანზე.....49

დავიბადე.....50

„დილის ნაფიქრალი“.....51

იდუმალება.....52

მე მოვალ.....53

მოდი ახლოს 54

მოდი.....55

ნუ ამბობ.....56

სათუთ-სურნელი 57

ქალი.....58

შემოდგომის კალათს.....59

„შენ დაიბადე“.....60

წარსულის ტკივილი.....61

გადამეყარე.....62

დამირეკე.....63

სიყვარულით.....64

შენ შეშინდი.....65

არსთა გამრიგე.....66

დაე, ვისუნთქოთ პოეზიით.....67162
163

დგება აისი.....68

მთელი ღამე.....69

მოულოდნელად გამომეღვიძა.....70

„სიზმარი“.....71

სიზმრის ფერები.....72

ღამის სათქმელი.....73

ალბათ.....74

დაასხით.....75

დღეს.....76

იდუმალი სინანული.....77

მე ვიძლევი პასუხებს.....78

უსასრულო ბილიკები.....79

შენი სამყარო.....80

შვების ცრემლი.....81

ჩავლილი წამი.....82

გურულების გურია.....83

და ძმით და ძმა _ დით.....84

ოჯახია სიწმინდე.....85

სამტრედია.....86

სულის ჰარმონია.....87

წელი ახალი.....88

დაგემშვიდობო.....89

ღირსება.....90

ამიტომ პოეტო.....91

და გეფერები ამ ლექსით.....92

დარდი.....93

დილის ნაფიქრალი.....94

ლექსად სათქმელი.....95

„ლექსია სულის ქათიბი“.....96

„მოდი ნუ გამკიცხავ“.....97

თუ.....98

მიეც.....99

რა ვქნა.....100

შემომეძარცვა ყოველი.....101

შემოჭრილ ფიქრებს 102

წავალ და.....103

გადავაბიჯე.....104

რატომ აღარ ვგაზაფხულობ?.....105

სულ არაფერი.....106

ამაოება ამა ქვეყნისა.....107

გარდაცვალება.....108

საყვედური საწუთროს.....109

უღმერთობის ანა-ბანა.....110

ნახვამდის.....111

როგორ დავიღალე.....112

უნამუსობის პიკია.....113

ეგ დავიწყება.....114

ვაი ნაძრახსა სიცოცხლეს.....115

წამი.....116

წამის წამები.....117

მადლად მერგე.....118

* * *.....119

ვნების კვირა.....120

მადლიერი ვარ 121

მშვენიერია სამყარო მართლაც.....122

რაღა დავწერო.....123

სამყაროს ხედვა.....124

სიყვარულია უკვდავება.....125

სულის სიმშვიდე.....126

სულის ცდუნება.....127

სულო, ამოდი.....128

უფალო გადამარჩინე.....129

ქრისტე აღდგა.....130

ქრისტეშობა.....131164

ჯვრისწერა.....132

ნუ დაითვლით.....133

ძნელია.....134

აქა ვარ.....135

გავიხსენებ.....136

ვიპრანჭები _ გაზაფხულდა.....137

„ნაცნობი მშვენიერება“.....138

ნოსტალგია.....139

ეპოქის ტკივილი.....140

ისევ მტკივა.....141

მარად სამშობლო გვტკიოდეს.....142

სევდა „საზღვრებთან“.....143

ჩემი ქვეყანა.....144

ცხრა აპრილი.....145

აბდა-უბდა.....146

ანიტას.....147

დე-გულნაზ ხარაიშვილს.....148

ვინ ვის.....149

ტკივილი გულისა.....150

ქართულ-ებრაული მეგობრობა.....151

მიფრინავს წლები.....152

მოდი ნუ გამკიცხავ.....153

ნუ გამაღვიძებ.....154

რატომ გგონია.....155

ფიქრთა ზრახვა.....156

ცდებით ბატონო.....157

ერთ დროს.....158

რა მინდა.....159

დღეს ნუ დამიშლით.....160

მე ფშავლის ქალი.....161

იქნებ.....162

მასკარადია.....163

ვერ მოგიშუშებ.....164

სიყვარული ერთია და.....165

ღამე სარკმელთან.....166

სევდა მასწავლე.....167

მე ისევ გეტრფი.....168

მარტოობა.....169

როგორც ამბორი.....170

ცად ლოდინი.....171

ორი ვაჟა.....172

ჯვრისწერა.....173

მარცვალნაგლეჯს.....174